

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა

(2020-2021 წლების შეფასების ანგარიში)



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2022



Kingdom of the Netherlands



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია პროექტის, „დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემის მხარდაჭერა“, ფარგლებში, რომელსაც სოციალური სამართლიანობის ცენტრი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე, მარიამ გობრონიძე.

ავტორი: ანა პაპუაშვილი

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

გარეკანი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge>

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია.....	5
ძირითადი მიგნებები	5
საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის შეფასება	8
I. დისციპლინური სამართალწარმოების მონაწილე ორგანოები.....	9
II. სამართლებრივი ჩარჩო	12
III. სტატისტიკური მონაცემები	25
IV. დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობა	32
4.1. დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებული დასკვნები	32
4.2. დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებული გადაწყვეტილებები.....	41
4.3. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის სტრატეგიული განვითარება და რეკომენდაციები.....	47
V. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები.....	50
VI. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები	60
VII. სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები	62
დასკვნა და რეკომენდაციები	65

შესავალი

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს, შეაფასოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც სასამართლო სისტემის რეფორმის „მეოთხე ტალღისა“ და 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ ჩამოყალიბდა.

სასამართლო სისტემის რეფორმის „მეოთხე ტალღა“, რომელმაც დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მნიშვნელოვან რეფორმას ჩაუყარა საფუძველი, საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 13 დეკემბერს მიიღო. საკანონმდებლო ცვლილებებით ახლებურად მოწესრიგდა და დაკონკრეტდა დისციპლინურ გადაცდომათა და პასუხისმგებლობის სახეები და ჩამონათვალი; გაუმჯობესდა ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სტანდარტები; დადგინდა დისციპლინურ სამართალწარმოებაში გადაწყვეტილებების მიღებისას საჭირო მტკიცებითი სტანდარტები; გაიზარდა სამართალწარმოების პროცესში მიღებული აქტების დასაბუთებულობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნები და ა.შ. მართალია, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში კვლავ რჩებოდა რიგი ხარვეზები, თუმცა განხორციელებული ცვლილებებით, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა.

ამის საპირისპიროდ, 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებები, შემდგომი რეფორმების საჭიროებების გათვალისწინებით, სერიოზულად უკან გადადგმული ნაბიჯია, აუარესებს კანონმდებლობის განჭვრეტადობის ხარისხს, შეიცავს მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკებს და ამარტივებს მათ მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების პროცესს. ცვლილებების თანახმად, დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალს დაემატა ახალი ქმედება, რომელიც, შინაარსის გათვალისწინებით, დისციპლინირების დამატებით და ბუნდოვან ბერკეტს ქმნის; ახლებურად მოწესრიგდა და გაფართოვდა მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების სამართლებრივი საფუძვლები; განახევრდა დისციპლინური სამართალწარმოების ვადები; შემცირდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა უმრავლესობა და ა.შ. საქართველოს პარლამენტმა ნაკლებად გაითვალისწინა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის რეალური ხარვეზები, სამოქალაქო სექტორისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები და ცვლილებების პროცესი ნაჩქარევად, ფართო საზოგადოებრივი ჩართულობის გარეშე წარმართა.

ბოლოს, წინამდებარე ანგარიშში ვრცლად არის განხილული დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე ორგანოების დაკომპლექტების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და ამ ორგანოების მიერ განვითარებული პრაქტიკა.

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს 2020 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს. მეორე ანგარიშმა, რომელიც 2019 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა, მოიცვა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების და საერთაშორისო სტანდარტების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის იმ გადაწყვეტილებების ანალიზი, რომელიც მიღებულ იქნა 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 1-ლ სექტემბრამდე საანგარიშო პერიოდში.

მეთოდოლოგია

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშზე მუშაობისას პროექტის გუნდმა კვლევისა და ინფორმაციის მოძიების შემდეგი მეთოდები და წყაროები გამოიყენა:

კანონმდებლობის ანალიზი – მონიტორინგისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ შედეგად ფორმირებული საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე, 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი;

საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების ანალიზი – შიდა საკანონმდებლო ნორმატიული ჩარჩოს გარდა, პროექტის გუნდმა შეისწავლა საერთაშორისო გამოცდილება და შეაფასა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა მნიშვნელოვან რეკომენდაციებსა და სტანდარტებთან;

მეორადი წყაროების ანალიზი – შეფასებისას დამატებითი წყარო იყო აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, კვლევები და შეფასებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 და 2021 წლების საქმიანობის ანგარიშებსაც;

პრაქტიკის ანალიზი – საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში აღსრულების შესაფასებლად დეტალურად გაანალიზდა დამოუკიდებელი ინსპექტორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატების გადაწყვეტილებები;

სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვა და დამუშავება – პროექტის გუნდმა საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, სადისციპლინო კოლეგიიდან და უზენაესი სასამართლოდან.

ძირითადი მიგნებები

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის სხვადასხვა პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდება. ამასთანავე, 2019 წლის ანგარიშში უკვე შეფასებულია იმ პერიოდისათვის, სასამართლო სისტემის რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების შემცველი კანონპროექტი, რომელმაც საბოლოო კანონის სახე, მასში არსებითი ცვლილებების შეტანის გარეშე მიიღო. თუმცა წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში დამატებით მოიცავს 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, დისციპლინური სამართალწარმოების მონაწილე ორგანოების მიერ საანგარიშო პერიოდში განვითარებული პრაქტიკის ვრცელ ანალიზს. ანგარიშის ძირითადი მიგნებებია:

- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები. თუმცა კვლავ პრობლემურია ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევის წესი, რაც სრულად ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას. ამასთანავე, კანონმდებლობა კვლავ არ

ითვალისწინებს ინსპექტორის შერჩევის მიზნით ჩასატარებელი კონკურსის და მასში მონაწილეთა მონაცემების საჯაროობას;

- პრობლემურია დისციპლინურ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ახალი წესი, რომლის თანახმად, საბჭო ამგვარ გადაწყვეტილებებს იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით (სრული შემადგენლობის 2/3-ის ნაცვლად). კვალიფიციური უმრავლესობის უბრალო უმრავლესობამდე შემცირება, უკან გადადგმული ნაბიჯია და ზრდის ინდივიდუალურ მოსამართლეებზე არასათანადო გავლენების რისკებს;
- პრობლემურია სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, რომლის თანახმად, შესაძლებელია, კოლეგიის საერთო შემადგენლობის 5-დან ორმა წევრმა (თუკი კოლეგიას სამი წევრი ესწრება) მოსამართლე ბრალეულად ცნოს და დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი დააკისროს. არსებული წესი საფრთხეს უქმნის დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობას;
- დისციპლინური სამართალწარმოება, მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, ვადების დარღვევით მიმდინარეობს; ამასთანავე, 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით, საანგარიშო პერიოდში მოქმედი სამართალწარმოების ვადები განახევრდა. ამგვარი მოწესრიგება სრულიად უგულებელყოფს დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემაში ვადების დაცვის თვალსაზრისით არსებულ რეალობას და დამატებით პრობლემას წარმოშობს;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ საკითხებზე სხდომებს კვლავ არასაკმარისი სიხშირით ატარებს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების გაჭიანურების დამატებით განმაპირობებელი ფაქტორია;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გამჭვირვალობის კუთხით, კვლავ პრობლემურია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოუქვეყნებლობის პრაქტიკა;
- კანონმდებლობა კვლავ არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გამოქვეყნებას. დასკვნები ხელმოწვედომელია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაშიც, რაც გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევაა;
- დადებით შეფასებას იმსახურებს ინსპექტორის და საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა, ასევე, ინსპექტორის მიერ მიღებული დასკვნების დასაბუთების ვალდებულების დადგენა, თუმცა გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხი (როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ისე სადისციპლინო კოლეგიის შემთხვევაში) ნაკლებად დამაკმაყოფილებელია;
- კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობის მიუხედავად, მოსამართლეები კვლავ არ სარგებლობენ დისციპლინური სხდომების გასაჯაროების მოთხოვნის

უფლებით, რაც სისტემის ჩაკეტილობასა და მოსამართლეთა შორის ამ სისტემის მიმართ კრიტიკული აზრის ნაკლებობაზე მიუთითებს;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კვლავ არ სარგებლობენ შესაძლებლობით, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, საკუთარი განსხვავებული აზრი წერილობით დააფიქსირონ;
- მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების საფუძვლებს დაემატა ახალი საფუძველი – რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება. გარდა ამისა, ბუნდოვანია, საქმეთა განხილვიდან ჩამოცილება კონკრეტულ საქმეს ეხება თუ კონკრეტული მოსამართლის მიერ განსახილველ ყველა საქმეს. დევნის დაწყების ეტაპზე მსგავსი სიმძიმისა და ნაკლებად განჭვრეტადი შეზღუდვა, რომელიც მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ემყარება, მნიშვნელოვნად აუარესებს დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემაში მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და საქმიანობის განხორციელების გარანტიებს;
- საკანონმდებლო ცვლილებებით დისციპლინური გადაცდომის სახეების კონკრეტული და ამომწურავი ჩამონათვალის განსაზღვრა დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა ზოგიერთი გადაცდომა კვლავ ზოგადი შინაარსისაა, პრაქტიკა კი – მწირი, და რიგ შემთხვევებში, არათანმიმდევრული, რაც კანონმდებლობის განჭვრეტადობის თვალსაზრისით პრობლემას ქმნის;
- პრობლემატურია, რომ კანონმდებლობა კვლავ არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოსამართლის ქმედებისთვის, რომელიც ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება და რომელთან დაკავშირებითაც არ არსებობს ბუნდოვანება, რომ ეს ქმედება მოსამართლემ ჩაიდინა ცხადი და დამაჯერებელი არაკეთილსინდისიერებითა და ადამიანის უფლებების უპატივცემულობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (legal error plus);
- კანონმდებლობაში კვლავ პრობლემად რჩება დათქმა იმის თაობაზე, რომ დისციპლინურ გადაცდომად არ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც, მართალია, ფორმალურად შეიცავს კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო, არ გამოუწვევია იმგვარი ზიანი, რომელიც მისი ჩადენისთვის აუცილებელს გახდიდა დისციპლინურ პასუხისმგებლობას;
- კანონმდებლობით განისაზღვრა მოსამართლის მიმართ დევნის დაწყების, პასუხისგებაში მიცემისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი საჭირო მტკიცებითი სტანდარტები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს;
- დადებით შეფასებას იმსახურებს მოსამართლის ბრალეულობის შეფასების აუცილებლობის სტანდარტის დადგენაც, თუმცა პრობლემატურია, რომ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დროს მოსამართლის ბრალეულობის საკანონმდებლო ფორმულირება დაკავშირებულია გადაცდომით გამოწვეულ ზიანთან და არ

ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ დისციპლინური გადაცდომების ნაწილი ფორმალურ შემადგენლობებს შეიცავს, შესაბამისად, არ ითხოვს ზიანის დადგომას;

- კანონმდებლობა კვლავ არ განსაზღვრავს დისციპლინური სამართალწარმოებისა და სახდელის დაკისრების მიზნებს.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის შეფასება

სასამართლოს დამოუკიდებლობა სუვერენულ სახელმწიფოთა დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზომია.¹ ამასთანავე, დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარეშე, რომელიც გადაწყვეტილებას კანონისა და საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს. არავის აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, კონკრეტულ საქმეზე როგორი გადაწყვეტილება მიიღოს.²

ამავე დროს, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არ არის პრივილეგია, არამედ, ის კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების მაძიებელი პირების ინტერესებს ემსახურება.³ სხვაგვარად, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი ინდივიდუალურ მოსამართლეს არ ათავისუფლებს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისაგან. სწორედ ამიტომ, დემოკრატიულ სახელმწიფოებში განვითარებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც ინდივიდუალურ მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი მექანიზმია.

აქვე, გასათვალისწინებელია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეებსაც შეიცავს.⁴ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემამ, ერთი მხრივ, შეძლოს მოსამართლის მხრიდან არასათანადო და არაკეთილსინდისიერი ქცევის თავიდან

¹ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მონიტორინგის ანგარიში: სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 50 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/380iayz> , წვდომის თარიღი: 02.05.2022).

² „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მონიტორინგის ანგარიში: სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 11 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39yDR9x> , წვდომის თარიღი: 02.05.2022).

³ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 50; ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №1 სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელობის სტანდარტების შესახებ, პუნქტი 10.

⁴ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 11; სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე.

არიდება და გადაცდომის შემთხვევაში – შესაბამისი რეაგირება,⁵ ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის პრინციპებისადმი პატივისცემა.⁶ ზემოაღნიშნული ოქროს შუალედი როგორც ინდივიდუალური მოსამართლის, ისე მთლიანი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ქვაკუთხედი.⁷

I. დისციპლინური სამართალწარმოების მონაწილე ორგანოები

დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის შესაფასებლად, პირველ რიგში, საინტერესოა სამართალწარმოებაში მონაწილე ორგანოების, მათი უფლებამოსილებების და დაკომპლექტების დინამიკის მიმოხილვა, ასევე შეფასება, თუ რა გავლენას ახდენს ეს საკითხი თავად სამართალწარმოების პროცესზე.

სამართალწარმოების საწყის ეტაპზე, პირველადი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა დამოუკიდებელი ინსპექტორი (შემდგომში – ინსპექტორი). ის, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის შემთხვევაში, პასუხისმგებელია საქმის ობიექტურ, მიუკერძოებელ და სრულყოფილ გამოკვლევაზე.⁸ მოკვლევის შემდეგ, ინსპექტორი იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას – დასკვნას, იკვეთება თუ არა მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები, ან გადაწყვეტილებას – თუკი არსებობს კანონით გათვალისწინებული სამართალწარმოებაზე უარის თქმის/შეწყვეტის საფუძველები.⁹ ინსპექტორი ასევე მონაწილეობს დისციპლინური სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზეც: იკვლევს საქმეს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შემდგომ, მის პასუხისმგებაში მიცემამდე. ამასთანავე, ინსპექტორი, კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (შემდგომში – საბჭო) მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს.¹⁰

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღით“ დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. ამასთანავე, ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, 2020 წლის 24 იანვარს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ახალი დამოუკიდებელი ინსპექტორი 5 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით აირჩია. ამგვარი მოწესრიგება მოქმედებს დღეის მდგომარეობითაც. ინსპექტორის კვალიფიციური უმრავლესობით არჩევის წესის არარსებობა ვერ უზრუნველყოფს პროცესში საბჭოს არამოსამართლე წევრების რეალურ ჩართულობას და ინსპექტორის კანდიდატურის შერჩევაზე არსებითი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას,

⁵ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 50.

⁶ იქვე; ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №10, მართლმსაჯულების საბჭო დამოუკიდებლობის სამსახურში, პუნქტი 63.

⁷ იქვე.

⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51¹ მუხლი.

⁹ იქვე, 75¹² მუხლი.

¹⁰ იქვე, 45-ე მუხლი.

რაც წინამდებარე ანგარიშში დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის ხარვეზად არის შეფასებული.¹¹

დისციპლინურ სამართალწარმოებაში, უფლებამოსილებათა მასშტაბების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ორგანო იუსტიციის უმაღლესი საბჭოა. დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის გარდა, საბჭო მოსამართლის დისციპლინურ დევნაზე პასუხისმგებელი ორგანოცაა, რომელიც ასევე იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის თაობაზე.¹² დამატებით, საბჭო განიხილავს ინსპექტორის შუამდგომლობას მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების თაობაზე და წარდგინებით მიმართავს სადისციპლინო კოლეგიას (შემდგომში – კოლეგია).¹³

დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე ორგანოებიდან ყველაზე მნიშვნელოვან კრიტიკას, სწორედ საბჭოს საქმიანობა, აქ არსებული კლანურობის პრაქტიკა და კორპორატივიზმი იწვევს, რომელიც ცხადია, გავლენას ახდენს სამართალწარმოების პროცესზე. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში საბჭოს როლის საკანონმდებლო მოწესრიგების გარდა,¹⁴ პრობლემურია საბჭოს არსებული შემადგენლობა და მისი ცვლილების დინამიკა. კერძოდ, წელიწადზე მეტია, საქართველოს პარლამენტი დაუსაბუთებლად აჭიანურებს არამოსამართლე წევრების არჩევის პროცესს. შესაბამისად, ამჟამად საბჭო არასრული – მხოლოდ 10 წევრის, შემადგენლობით ფუნქციონირებს. ასეთი რეალობა სერიოზული გამოწვევაა საბჭოს ლეგიტიმაციის, ანგარიშვალდებულების და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზების კუთხით. ამასთანავე, როგორც პრაქტიკაზე დაკვირვება აჩვენებს, არასრული შემადგენლობა ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობას და დისციპლინური სამართალწარმოება ხშირად სწორედ ამ საფუძვლით წყდება.¹⁵ თუმცა პარლამენტმა, ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ნაცვლად არამოსამართლე წევრების არჩევისა, დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმი შეამცირა და კვალიფიციური უმრავლესობის ნაცვლად, უბრალო უმრავლესობა დაადგინა.

2021 წლის 31 ოქტომბერს გამართულ, რიგით XXX, მოსამართლეთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, საბჭოს ორმა მოსამართლე წევრმა (თამარ ონიანი, თეა ლეონიძე) ვადაზე ადრე, საკუთარი განცხადებით და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დატოვა თანამდებობა და კონფერენციამ, მათ ნაცვლად, თითქმის ერთხმად, 2 ახალი წევრი აირჩია. თეა ლეონიძე, იმავე სხდომაზე, სადისციპლინო კოლეგიის წევრად განამწესეს.¹⁶

¹¹ ვრცლად იხილეთ თავი II – „სამართლებრივი ჩარჩო“.

¹² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁸ და 75¹³ მუხლები.

¹³ იქვე, 45-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴ იქვე.

¹⁵ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სასამართლო სისტემის რეფორმირებისას კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი - 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი“, 2022, გვ. 4, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KBTQR3>, წვდომის თარიღი: 02.05.2022).

¹⁶ მოსამართლეთა XXX კონფერენცია (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FqgK5W>, წვდომის თარიღი: 02.05.2022).

პრობლემურია ისიც, რომ 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევის აკრძალვა, რომელიც თავის დროზე სასამართლო რეფორმების ერთ-ერთ მთავარ მიღწევად იყო შეფასებული, რადგან საბჭოში ძალაუფლების კონცენტრაციის რისკებს ამცირებდა.¹⁷

დისციპლინური საქმის არსებითად განმხილველი ორგანო სადისციპლინო კოლეგიაა, რომლის 3 წევრს მოსამართლეთა კონფერენცია, ორს კი – საქართველოს პარლამენტი, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს.¹⁸ ამასთანავე, კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების თაობაზეც.

აქაც, კანონმდებლობით დადგენილი, კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების დამსწრეთა უმრავლესობით მიღების წესის პრობლემურობის გარდა,¹⁹ ასევე პრობლემურია მისი დაკომპლექტების არსებული დინამიკა. კერძოდ, საქართველოს პარლამენტს დღემდე არჩეული ჰყავს მხოლოდ 1 არამოსამართლე წევრი, შესაბამისად, კოლეგია 4 წევრის შემადგენლობით ფუნქციონირებს. რაც შეეხება კოლეგიის მიერ განვითარებულ პრაქტიკას, ის ძალიან მწირია, რადგან საბჭო მხოლოდ უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.²⁰ თუმცა არსებული მწირი პრაქტიკის ანალიზიც ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხი დაბალია და ის დიდწილად იმეორებს საბჭოს გადაწყვეტილებებს (რომლებიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ეყრდნობა ინსპექტორის მიერ საკუთარ დასკვნებში განვითარებულ მსჯელობებს).²¹

ბოლოს, სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში (შემდგომში – პალატა), რომელიც დისციპლინურ სამართალწარმოებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა.²² პალატა, გასაჩივრების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების თაობაზეც.²³ სადისციპლინო პალატა შედგება 3 წევრისგან და მის შემადგენლობას, 3 წლის ვადით, უზენაესი სასამართლოს პლენუმი აკომპლექტებს.²⁴

¹⁷ აკრძალვა შემოღებულ იქნა შემდეგი ცვლილებით: 2013 წლის 1 მაისის კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; „სასამართლო სისტემის რეფორმირებისას კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი – 2021 წლის 30 დეკემბრის მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი“, 2022, გვ. 6-7.

¹⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁹ მუხლი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 208-ე მუხლის 17,18, 19 პუნქტები.

¹⁹ იქვე, 75⁴⁰ მუხლი.

²⁰ ვრცლად იხ. თავი III – „სტატისტიკური ინფორმაცია“.

²¹ ვრცლად იხ. თავი VI – „სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები“.

²² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵⁴ მუხლი.

²³ იქვე, 45-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები.

²⁴ იქვე, მე-19 მუხლი.

კოლეგიის მსგავსად, განსაკუთრებით მწირია სადისციპლინო პალატის პრაქტიკა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილში, თუმცა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სამართალწარმოებაში მონაწილე სხვა ორგანოებთან შედარებით, დასაბუთებულობის უკეთესი ხარისხით ხასიათდება.²⁵

II. სამართლებრივი ჩარჩო

საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელ ნორმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები ორ ეტაპად განხორციელდა.

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში, 2019 წლის 13 დეკემბერს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებები სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის არსებითად მნიშვნელოვან საკვანძო საკითხებს შეეხო.²⁶ ერთ-ერთი საკითხი კი სწორედ დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმა იყო. პარლამენტის მითითებით, რეფორმის მიზანი, ზანგალორის პრინციპების სულისკვეთებით, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის სტანდარტების ზრდა და დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ყოველგვარი თვითნებობის გამორიცხვის უზრუნველყოფა იყო.²⁷

რაც შეეხება ცვლილებების მეორე ეტაპს, ის 2021 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა, რიგგარეშე სესიაზე, საზოგადოებრივი ჩართულობისა და კონსულტაციების გამართვის გარეშე, დაჩქარებული წესით განახორციელა.²⁸ პარლამენტის განმარტებით, სამართალწარმოების პროცესში რიგი საკითხების ახლებურად მოწესრიგება დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის ეფექტიანობისა და ინდივიდუალიზაციის გაზრდისკენ იყო მიმართული და ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნებს ეყრდნობოდა.²⁹ თუმცა მიღებული ცვლილებები ინიცირების ეტაპზევე კრიტიკული შეფასების საგანი გახდა სამოქალაქო

²⁵ ვრცლად იხ. თავი VII – „სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები“.

²⁶ 2019 წლის 13 დეკემბრის 5569-ლს საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

²⁷ განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3OVVaBM> , წვდომის თარიღი: 02.05.2022).

²⁸ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პრეზიდენტისადმი მოწოდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე ვეტოს დადების თაობაზე, 13 იანვარი, 2022 წელი (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KAKewH> , წვდომის თარიღი: 02.05.2022).

²⁹ განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე, „საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3P3Zn6v> , წვდომის თარიღი: 02.05.2022).

საზოგადოების³⁰, საერთაშორისო აქტორებისა³¹ და თავად მოსამართლეთა ნაწილის მხრიდან³², როგორც პროცედურული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

წინამდებარე ანგარიშში კრიტიკულად არის შეფასებული საკანონმდებლო რეფორმის ორივე ეტაპი.

ა) დისციპლინური გადაცდომის სახეები

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღით“ ახლებურად მოწესრიგდა და 7 კატეგორიად დაიყო დისციპლინურ გადაცდომათა სახეები.³³ კერძოდ, ქმედებებად, რომლებიც არღვევს:

- დამოუკიდებლობის პრინციპს
- მიუკერძოებლობის პრინციპს
- კეთილსინდისიერების პრინციპს
- წესიერების პრინციპს
- თანასწორობის პრინციპს
- კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს
- სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის სტატუსს.

თითოეული ამ კატეგორიის მიხედვით კი ჩამოყალიბდა გადაცდომათა კონკრეტული შემადგენლობები, რის შედეგადაც დღეისთვის კანონმდებლობა³⁴ 21 გადაცდომას ითვალისწინებს.³⁵ ამასთანავე, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრული კონკრეტული შემადგენლობის საფუძველზე,³⁶ რითაც გადაცდომათა განჭვრეტადობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.³⁷

დისციპლინურ გადაცდომათა ასეთი კონკრეტიზაცია მისასალმებელია.³⁸ პოზიტიურია ისიც, რომ ჩამონათვალი არ მოიცავს მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობას ან ჯეროვან

³⁰ კოალიცია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების დაჩქარებული წესით განხილვას ეხმაურება, 28 დეკემბერი 2021, (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3HL9FDY>).

³¹ ევროკავშირის წარმომადგენლობა პარლამენტში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვას ეხმაურება, 28 დეკემბერი 2021, (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3teNfXJ>).

³² მოსამართლეთა ნაწილი საქართველოს პარლამენტს ღია წერილით მიმართავს და „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ინიცირებული ცვლილებების შესახებ განმარტებებს ითხოვს, 28 დეკემბერი, 2021, (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FhRJiL>).

³³ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი.

³⁴ იქვე.

³⁵ ჯამში 30 შემადგენლობა, რამდენადაც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი დისციპლინურ გადაცდომად ითვალისწინებს ალტერნატიულად - მოსამართლის მიერ ამ კანონის 72¹ მუხლის პირველი პუნქტის ან 72² მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევას, ამავე პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი კი - მოსამართლის მიერ კორუფციული სამართალდარღვევის, ანუ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 10 სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას.

³⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁷ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 17.

³⁸ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 13.

შესრულებას, რომელიც დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის მიმართვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საფუძველი იყო 2019 წლამდე.³⁹ ასევე მისასალმებელია, რომ ორგანული კანონი აღარ უთითებს ზოგადად მოსამართლეთა ეთიკის ნორმებზე და ამის ნაცვლად, გადაცდომების ჩამონათვალს დაემატა კონკრეტული ქმედებები, რომლებიც გათვალისწინებული იყო სამოსამართლო ქცევის კოდექსით.⁴⁰

ამ დადებითი ტენდენციის მიუხედავად, დისციპლინური გადაცდომის სახეებთან დაკავშირებით კვლავ რჩება გარკვეული ხარვეზები. 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით, გადაცდომათა ჩამონათვალს დაემატა კიდევ ერთი ქმედება, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს – „მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით“. ეს შემადგენლობა არსებითად იმეორებს ორგანულ კანონში უკვე არსებულ ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს „მოსამართლის... მიერ პოლიტიკური შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა“.⁴¹ შესაბამისად, გაუგებარია, რას ემსახურება არსებითად მსგავსი შინაარსის ქმედებაზე ორი განსხვავებული ჩანაწერის არსებობა. ამასთანავე, მსგავსი ქმედებების განსხვავებულ დისციპლინურ გადაცდომებად განსაზღვრა მნიშვნელოვნად აუარესებს კანონმდებლობის განჭვრეტადობის ხარისხს და მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკებს შეიცავს.⁴²

დისციპლინური გადაცდომების შემადგენლობების განმარტების კუთხით, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილება,⁴³ რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დანაწესი,⁴⁴ რომელიც ზღუდავდა საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ კითხვის დასმის შესაძლებლობას საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებასთან მიმართებით. დამოუკიდებელი ინსპექტორის განმარტებით, მოსამართლის მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის საფუძველით წარმოდგენილი საჩივრები განიხილებოდა „მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედების“, როგორც დისციპლინური გადაცდომის, შესაძლო ჩადენად.⁴⁵ თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ

³⁹ „უფლებები საქართველო“, „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში“, 2021, გვ. 4 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3OKPj1Q>, წვდომის თარიღი: 02.05.2022).

⁴⁰ იქვე, გვ. 25.

⁴¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტი.

⁴² „სასამართლო სისტემის რეფორმირებისას კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი - 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი“, 2022.

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“.

⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების ნორმატიული შინაარსი.

⁴⁵ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 54-55 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ycP0qL> ; წვდომის თარიღი: 02.05.2022).

„სამართლებრივი სისტემა, რომელიც გამორიცხავს, კითხვების დასმის გზით, სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში მოსამართლის მონაწილეობასა და საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის შესაძლებლობას, საფუძველშივე ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს“.⁴⁶ შესაბამისად, მოსამართლის მხრიდან დამოუკიდებლად, დამაზუსტებელი შეკითხვის დასმის დისციპლინურ გადაცდომად ვეღარ შეფასდება.

ასევე, კანონმდებლობა კვლავ არ ითვალისწინებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, როდესაც მოსამართლის შეცდომას თან ერთვის მისი არაკეთილსინდისიერი ქმედება და მოსდევს მნიშვნელოვანი ზიანი (მეტი, ვიდრე სამართლებრივი შეცდომა – legal error plus). ამ საკითხზე არსებული საერთაშორისო სტანდარტები მიუთითებს სამართლებრივი შეცდომისას დისციპლინური პასუხისმგებლობისგან დაცვაზე იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე კეთილსინდისიერად მოქმედებს. ეს არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამართლებრივი შეცდომა ჩადენილია ბოროტი განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით.⁴⁷ შესაბამისად, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უფრო მყარი გარანტიების უზრუნველსაყოფად და ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად, მნიშვნელოვანია, ნათლად გაიწეროს კანონში, სამართლებრივი შეცდომის დაშვებისას, რა დამატებითი გარემოებების შემთხვევაში შეიძლება დადგეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.⁴⁸

ასევე მნიშვნელოვანია, დისციპლინური გადაცდომის სახეები ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობას მოსამართლის ქმედებისთვის, რომელიც ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება და რომელთან დაკავშირებითაც არ არსებობს ბუნდოვანება. ამ შემთხვევაში, გადაცდომად დაკვალიფიცირდება ქმედება, რომელიც მოსამართლემ ჩაიდინა ცხადი და დამაჯერებელი არაკეთილსინდისიერებითა და ადამიანის უფლებების უპატივცემულობით და ამან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, დისციპლინური პასუხისმგებლობა დადგეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეცდომის დაშვების დადასტურებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).⁴⁹

მართალია, დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობა მოიცავს დისციპლინური გადაცდომების მეტნაკლებად დეტალურ ჩამონათვალს, თუმცა ზოგიერთი გადაცდომა კვლავ ზოგადი შინაარსისაა და საჭიროებს სათანადო განმარტებებს. დისციპლინური პრაქტიკა კი ჯერჯერობით მწირია და გადაცდომათა გარკვეული ნაწილის განმარტებისთვის რაიმე სხვა ოფიციალური წყარო არ არსებობს.⁵⁰

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება, პარა. 2- 58.

⁴⁷ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 14.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში“, 2021, გვ. 8.

ბ) დისციპლინური გადაცდომის საფუძვლები და მიზნები

კანონმდებლობა კვლავ არ ითვალისწინებს დისციპლინური სამართალწარმოებისა და სახდელის დაკისრების მიზანს.⁵¹ კანონში ნათლად გაწერილ მიზანს არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან გარკვეულ მიმართულებას აძლევს და ამარტივებს სამართალწარმოებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ასევე უზრუნველყოფს მისი არამიზნობრივი გამოყენების თავიდან აცილებას.⁵²

თუმცა რეფორმის ფარგლებში დადებით შეფასებას იმსახურებს მოსამართლის ბრალეულობის შეფასების აუცილებლობის სტანდარტის დადგენა. კერძოდ, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ობიექტურად შეეძლო გადაცდომის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება, მაგრამ არ განუხორციელებია ის. ამასთანავე, გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.⁵³ ეს ცვლილება მისასალმებელია და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც დისციპლინური სამართალწარმოებისას მოსამართლის ბრალეულობის ხარისხის შეფასების აუცილებლობას ადგენს.⁵⁴ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დროს მოსამართლის ბრალეულობის საკანონმდებლო ფორმულირება დაკავშირებულია გადაცდომით გამოწვეულ ზიანთან და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ დისციპლინური გადაცდომების ნაწილი ფორმალურ შემადგენლობებს შეიცავს, შესაბამისად, ზიანის დადგომას არ ითხოვს.⁵⁵

გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები და მათი დაკისრების წესი

კანონმდებლობა დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებად ადგენს დისციპლინურ სახდელსა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს.⁵⁶ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებით ეს საკითხი ახლებურად ჩამოყალიბდა. კერძოდ,

- დისციპლინური სახდელების ჩამონათვალს დაემატა: ა) ფინანსური ხასიათის დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება – „ხელფასის 5%-დან 20%-მდე დაქვითვა არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში“; ბ) „მოსამართლის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაბამის პროგრამაში ჩართვა“

⁵¹ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 13; ვენეციის კომისიის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანს სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა წარმოადგენს და არა კანონის სწორად გამოყენების უზრუნველყოფა, CDL-AD(2007)009, § 29.

⁵² იქვე, ასევე, სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 52.

⁵³ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

⁵⁴ „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში“, 2021, გვ. 52; ვენეციის კომისიის დასკვნა მაკედონიის კანონზე მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლეთა შეფასების თაობაზე, 2015, პარა. 18.

⁵⁵ იქვე, გვ. 7.

⁵⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75³ მუხლი.

- „სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება“, რომელიც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება იყო, დისციპლინური სახდელი გახდა
- დისციპლინური სახდელები დაიყო ძირითად და დამატებით კატეგორიებად.⁵⁷

სახდელის სახით ფინანსური ხასიათის სანქციის გამოყენება უცხო არ არის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სტანდარტებისათვის, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ სანქციის მრავალფეროვნებას და როგორც ფორმალური (შენიშვნა, საყვედური), ისე ფინანსური სანქციების (ჯარიმა) არსებობას.⁵⁸ რაც შეეხება დიფერენცირებას ძირითად და დამატებით სახდელებად, საქართველოს პარლამენტის განმარტებით, ასეთი მოწესრიგება შესაძლებელს ხდის ერთდროულად ორივე ტიპის სახდელის დაკისრებას, დისციპლინური გადაცდომის შინაარსის (მაგალითად, ხასიათის, სიმძიმის) გათვალისწინებით, რაც შემფარდებელს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას ანიჭებს.⁵⁹ ეს უკანასკნელი, თავისთავად, ლეგიტიმური ინტერესია, თუმცა ცალკე საკითხია, მითითებული ცვლილებები რამდენად პასუხობს იმ გამოწვევებს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების სისტემაში რეალურად არსებობს, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სახდელი სულ 1 საქმეზე იქნა გამოყენებული და ისიც შენიშვნის სახით.⁶⁰

დ) მოსამართლის ჩამოცილება საქმეთა განხილვიდან

2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით ახლებურად ჩამოყალიბდა მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების წესი. კერძოდ, მოსამართლის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გარდა, გაჩნდა ახალი საფუძველი – რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება. თუმცა ამ ფაქტობრივ გარემოებასთან ერთად, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ პირის თანამდებობაზე დარჩენით დადგება ერთ-ერთი შედეგი მაინც:

ა) იგი ხელს შეუშლის დისციპლინურ სამართალწარმოებას;

ბ) იგი ხელს შეუშლის დისციპლინური გადაცდომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას;

⁵⁷ შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ ძირითად სახდელად, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება, ასევე ხელფასის 5%-დან 20%-მდე დაქვითვა შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ძირითად, ისე დამატებით დისციპლინურ სახდელად.

⁵⁸ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 მოსაზრება მოსამართლეთა პროფესიული ქცევის, განსაკუთრებით, ეთიკის, შეუსაბამო ქცევისა და მიუკერძოებლობის მარეგულირებელი წესების და პრინციპების თაობაზე, პარა. 73.

⁵⁹ განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3MGJDNc> , წვდომის თარიღი: 02.05.2022).

⁶⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, 2020 წლის სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vC6c7i> , წვდომის თარიღი: 02.05.2022).

გ) იგი განაგრძობს სამუშაო დისციპლინის დარღვევას.⁶¹

კანონმდებლობით დეტალურად განისაზღვრა ამ გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების წესებიც. კერძოდ, მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადისციპლინო კოლეგია საბჭოს წარდგინების საფუძველზე.⁶² თუმცა საბჭო საკუთარ წარდგინებას, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იღებს მხოლოდ ინსპექტორის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე და მას დამოუკიდებლად, ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა არ აქვს.⁶³ კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი სადისციპლინო პალატაში.⁶⁴ რაც შეეხება საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების პერიოდში მოსამართლის უფლებრივ მდგომარეობასა და უფლებამოსილებებს, ის არსებითად იმეორებს კანონმდებლობაში ცვლილებებამდე დადგენილ შეზღუდვებს, იმ დათქმით, რომ მოსამართლეს უნარჩუნდება ხელშეუხებლობის ძირითადი გარანტიები.⁶⁵

განმარტებითი ბარათის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საბოლოო გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულობის შესახებ მიღებული არ არის, სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად და მისი ეფექტიანი განხორციელებისათვის, როგორც პრევენციული და შემაკავებელი ეფექტის მქონე ღონისძიება – მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილება გამოიყენება. კანონპროექტის ავტორთა დასაბუთებით, ეს დანაწესი სამართალწარმოების პროცესსა და მის შედეგებზე უარყოფით ზემოქმედებას გამორიცხავს.⁶⁶ საბჭო ამ საკითხზე წარდგინებას მხოლოდ ინსპექტორის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს და არა დამოუკიდებლად. თუმცა, მთლიანობაში, ახალი მოწესრიგება მნიშვნელოვნად უკან გადადგმული ნაბიჯია მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის დაცვის კუთხით. კანონმდებლობა, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, სახელდებით კრძალავდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში საქმეთა განხილვისა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისგან მოსამართლის ჩამოცილებას.⁶⁷

ამასთანავე, ბუნდოვანია, საქმეთა განხილვიდან ჩამოცილება კონკრეტულ საქმეს ეხება თუ კონკრეტული მოსამართლის მიერ განსახილველ ყველა საქმეს. ეს უკანასკნელი კი გაუმართლებელია, რადგან ერთ ან რამდენიმე საქმეში არსებული შესაძლო დარღვევა მოსამართლის არაპროფესიონალად მიჩნევის საფუძველს არ უნდა ქმნიდეს. ამის საპირისპიროდ კი, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებამდე განსახილველი საქმეებიდან მოსამართლის სრულად დისტანცირება, ფაქტობრივად, მისი საქმიანობის

⁶¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლი.

⁶² იქვე, 45-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე; 45-ე მუხლის მე-5, მე-6 პუნქტები.

⁶⁵ იქვე, 45-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

⁶⁶ განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3MGJDNc> , წვდომის თარიღი: 02.05.2022).

⁶⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁶ მუხლი, (2021 წლის 30 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია)

უფლების შეჩერებას უთანაბრდება.⁶⁸ ასევე, ასეთი შეზღუდვა, საკანონმდებლო ცვლილებებამდე, ეხებოდა მხოლოდ ისეთ სერიოზულ შემთხვევებს, როდესაც მოსამართლე მიეცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ან სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით გათავისუფლდა თანამდებობიდან (და საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის).⁶⁹ დევნის დაწყების ეტაპზე მსგავსი სიმძიმისა და ნაკლებად განჭვრეტადი შეზღუდვა, რომელიც მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ემყარება, მნიშვნელოვნად აუარესებს დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემაში მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და საქმიანობის განხორციელების გარანტიებს.

ე) დისციპლინური სამართალწარმოების ვადები

2021 წლის 30 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, დისციპლინური სამართალწარმოების ვადები შემცირდა (განახევრდა) ყველა ეტაპზე.⁷⁰ კერძოდ, საქმის წინასწარი მოკვლევისა და გამოკვლევის, ასევე, სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ვადები 2 თვიდან 1 თვემდე, დისციპლინურ პალატაში არსებული საქმის განხილვის 1-თვიანი ვადა კი – 15 დღემდე შემცირდა; პარლამენტის განმარტებით, ვადების შემცირება სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება.⁷¹ თუმცა ეს ცვლილება სრულიად უგულებელყოფს დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემაში ვადების დაცვის თვალსაზრისით არსებულ რეალობას. კერძოდ, ინსპექტორმა არაერთხელ მიუთითა საქმეთა სიმრავლის გამო საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული ვადების დაცვის სირთულეებზე.⁷² ამასთანავე, პრაქტიკის ანალიზიც ცხადყოფს, რომ სამართალწარმოების ვადები სისტემატურად ირღვევა, პირველ რიგში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან.⁷³ შესაბამისად, გაუგებარია, ახლებური მოწესრიგება როგორ უზრუნველყოფს არსებული, რეალური პრობლემების გადაჭრას და აჩენს რისკებს, რომ ის მხოლოდ საკანონმდებლო ჩანაწერად დარჩება, რომელიც პრაქტიკაში ვერ შესრულდება.⁷⁴

ვ) დისციპლინური სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადები

⁶⁸ „სასამართლო სისტემის რეფორმირებისას კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი - 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი“ (2022), გვ. 10

⁶⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლი (2021 წლის 30 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია)

⁷⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁷, 75⁸, 75¹⁰, 75¹³, 75²⁵ და 75⁵⁸ მუხლები

⁷¹ განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3LyAAoN> , წვდომის თარიღი: 02.05.2022)

⁷² დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 56; „2021 წლის 14 დეკემბერს, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ინიციატივითა და USAID/PROLoG-ის ხელშეწყობით არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრა, სადაც დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მონაწილეებს პრაქტიკაში წარმოჩენილი ხარვეზები გააცნო და მონაწილეებთან ერთად მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელა“, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 45

⁷³ ამ საკითხზე ვრცლად იხ. V თავი - „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები“.

⁷⁴ „სასამართლო სისტემის რეფორმირებისას კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი - 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი“ (2022), გვ. 9.

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღა“ ასევე შეეხო მოსამართლის მიმართ მიმდინარე სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადებს. კერძოდ, მოსამართლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების 5-წლიანი ვადა (მის მიერ გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე სამართალწარმოების დაწყებამდე) 3 წლამდე შემცირდა.⁷⁵ ეს ცვლილება მისასალმებელია, რადგან ხანდაზმულობის ვადა ინდივიდუალური მოსამართლისათვის არის გარანტია, რომ მის მიმართ მიმდინარე სამართალწარმოება განხორციელდება ეფექტიანად, წინასწარ განსაზღვრულ მჭიდრო ვადებში და ამ ვადის გასვლის შემდეგ ის პასუხისმგებლობაში ვერ მიეცემა. ამასთანავე, ასეთი მოწესრიგება შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსაც, რომლის თანახმადაც, დისციპლინური სამართალწარმოების ვადები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, მათი გაგრძელება კი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა დაიშვებოდეს.⁷⁶

ზ) დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური გარანტიები

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეიცვალა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სტანდარტები. ორგანული კანონის ძველი რედაქციის თანახმად, ინსპექტორს თანამდებობაზე ირჩევდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ვერ უზრუნველყოფდა საბჭოს არამოსამართლე წევრების რეალურ გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.⁷⁷ ასევე არ ყოფილა ცხადად გაწერილი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა და წესი.⁷⁸

ორგანული კანონის დღეისათვის მოქმედი რედაქციით, ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებას საბჭო არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით იღებს.⁷⁹ დადებით შეფასებას იმსახურებს ისიც, რომ „მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება“ აღარ წარმოადგენს ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს, რადგან ამ ჩანაწერმა, მისი ბუნდოვანების გამო, ვენეციის კომისიის მხრიდან კრიტიკული შეფასება დაიმსახურა.⁸⁰ დამატებით, ინსპექტორს მიენიჭა გათავისუფლების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება და გაიწერა შესაბამისი წესიც.⁸¹

⁷⁵ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლი.

⁷⁶ „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში“, 2021, გვ. 29; იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, სტანდარტი 8.

⁷⁷ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – საქმეთა ელექტრონული განაწილება, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 60-61.

⁷⁸ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 15.

⁷⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51¹ მუხლის 2¹ პუნქტი.

⁸⁰ Venice Commission, OPINION ON THE PROVISIONS ON THE PROSECUTORIAL COUNCIL IN THE DRAFT ORGANIC LAW ON THE PROSECUTOR'S OFFICE AND ON THE PROVISIONS ON THE HIGH COUNCIL OF JUSTICE IN THE EXISTING ORGANIC LAW ON GENERAL COURTS, CDL-AD (2018)029, § 51. (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LFIVHk> ; წვდომის თარიღი: 02.05.2022).

⁸¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51¹ მუხლის 2¹ პუნქტი.

ბოლოს, ახლებურად განისაზღვრა ინსპექტორის აცილების საკითხის განმხილველი კომისიის შემადგენლობა. ის უნდა დაკომპლექტდეს საბჭოს 2 მოსამართლე წევრითა და 1 არამოსამართლე წევრით.⁸² პარლამენტის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილება მიზნად ისახავს, ინსპექტორის აცილების საკითხის გადაწყვეტისას მაქსიმალურად შემცირდეს არამოსამართლე წევრის მიერ სამართლებრივი შეცდომის დაშვების რისკი.⁸³ საბჭოს არამოსამართლე წევრის მონაწილეობა ინსპექტორის აცილების საკითხის განხილვაში მნიშვნელოვნად ამცირებს კორპორატივიზმის და პროფესიული მიკერძოების რისკებს.

ინსპექტორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებაა კანონმდებლობით მისი თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრაც, რომელიც გაუტოლდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურებას.⁸⁴ ასევე, შეიზღუდა ინსპექტორის თანხმობის გარეშე მისი სამსახურის მიმდინარე ხარჯების შემცირება, წინა წლის ხარჯებთან შედარებით.⁸⁵ დამატებით, ამ სამსახურის სტრუქტურას, სამტატო ნუსხასა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს მისთვის განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში ამტკიცებს თავად ინსპექტორი.⁸⁶ შესაბამისად, ორგანული კანონის დონეზე ინსპექტორის სამსახურის ფინანსური და ინსტიტუციური გარანტიების განსაზღვრა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია და ამცირებს ამ ინსტიტუტის საბჭოზე დამოკიდებულების რისკებს.⁸⁷

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ინსპექტორის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, კანონმდებლობაში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. კერძოდ, ინსპექტორს, 5 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე, საბჭო სრული შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით ირჩევს.⁸⁸ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საბჭოს არამოსამართლე წევრების რეალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ინსპექტორი არჩეულ იქნას კონსენსუსის ლოგიკით, საბჭოს სრული შემადგენლობის ორმაგი 2/3-ით (ამ პრინციპის თანახმად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება მოსამართლე წევრების 2/3-ისა და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობა); ამასთანავე, სამსახურის მნიშვნელობის მიუხედავად, კანონმდებლობა კვლავ არ ითვალისწინებს ინსპექტორის შერჩევის მიზნით ჩასატარებელი კონკურსის და მასში მონაწილეთა მონაცემების საჯაროობას. დღეისათვის, ის საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით შეირჩევა,⁸⁹ დახურულ სხდომაზე, კანდიდატთა ვინაობა და ბიოგრაფიები კი ხელმისაწვდომი არ არის.⁹⁰

⁸² იქვე, 75¹⁰ მუხლის მე-4 პუნქტი.

⁸³ განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, გვ. 11 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vZ5L6e>, წვდომის თარიღი 02.05.2022).

⁸⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51¹ მუხლის მე-8¹ პუნქტი.

⁸⁵ იქვე, 51¹ მუხლის მე-13 პუნქტი.

⁸⁶ იქვე, 51¹ მუხლის პირველი პუნქტი.

⁸⁷ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 15.

⁸⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51¹ მუხლის მე-2 პუნქტი.

⁸⁹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, 27² მუხლი (ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3vD3fn6>); წვდომის თარიღი: 02.05.2022).

⁹⁰ „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში“, 2021, გვ. 16.

თ) მტკიცებითი სტანდარტები და გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსამართლის მიმართ დევნის დაწყების, პასუხისგებაში მიცემისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი საჭირო მტკიცებითი სტანდარტები, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.⁹¹ კერძოდ, ორგანული კანონი ადგენს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ინსპექტორის მიერ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის საფუძველიანობის შემოწმებისას,⁹² ასევე, საბჭოს მიერ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.⁹³ რაც შეეხება საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ამ შემთხვევაში ის ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტით ხელმძღვანელობს.⁹⁴

ამასთანავე, მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია, რომ ორგანულმა კანონმა სახელდებით განსაზღვრა ინსპექტორისა⁹⁵ და საბჭოს გადაწყვეტილებათა⁹⁶ დასაბუთების ვალდებულება. ეს ვალდებულება ასევე გათვალისწინებულია ინსპექტორის დასკვნებთან დაკავშირებით.⁹⁷ დისციპლინურ სამართალწარმოებაზე გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის მოთხოვნა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროცესის გამჭვირვალობის ხარისხს და კონტროლის შესაძლებლობას. იმავე დროს, ხელს უწყობს ამ პროცესში ინდივიდუალურ მოსამართლეთა უფლებების დაცვას.⁹⁸

ი) დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კვორუმი

განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებს 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით განსაზღვრული წესი, რომლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით (სრული შემადგენლობის 2/3-ის ნაცვლად). კანონპროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათი მიუთითებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემულ 2013-2014 წლების დასკვნებზე, სადაც ნათქვამია, რომ ასეთი კვალიფიციური უმრავლესობის დადგენა

⁹¹ იქვე, გვ. 37; დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულებას ადგენს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ნ. 10 მოსაზრება, მართლმსაჯულების საბჭოები საზოგადოების სამსახურში, პარა. 39.

⁹² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁷ მუხლის პირველი პუნქტი.

⁹³ იქვე, 75⁸ მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁴ იქვე, 75¹⁴ მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁵ იქვე, 75¹² მუხლის პირველი პუნქტი.

⁹⁶ იქვე, 75¹² მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

⁹⁷ იქვე, 75⁶ მუხლი.

⁹⁸ „დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მოსამართლის უფლებას წარმოადგენს, მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება დასაბუთებული სახით და გაასაჩივროს“ – იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური საქმისწარმოების მინიმალური სტანდარტები, სტანდარტი 14; „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში“, 2021, გვ. 38.

სერიოზულ საფრთხეს ქმნის, რომ ძალზე ბევრი საჩივარი დარჩება რეაგირების გარეშე.⁹⁹ თუმცა პარლამენტს ყურადღების მიღმა დარჩა ამავე ორგანიზაციების უახლესი დასკვნები, რომელთა თანახმად, ქართულ მართლმსაჯულებაში არსებული განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უნივერსალური სტანდარტების პირდაპირი დანერგვა შესაძლოა არ იყოს საუკეთესო გამოსავალი.¹⁰⁰ ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში განვითარებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დისციპლინური საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილის რეაგირების გარეშე დატოვება საბჭოს უმოქმედობითა და საქმეთა განხილვაზე ნების არარსებობით არის გამოწვეული.

საბჭოს მიმართ ნდობის გაზრდისა და საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას კონსენსუსზე ორიენტირებული წესის არსებობა და არამოსამართლე წევრების ჩართულობის გაძლიერება. შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად 2/3 უმრავლესობის ნაცვლად უბრალო უმრავლესობამდე შემცირება, ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯია.¹⁰¹

კ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმა ასევე შეეხო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტებს. კერძოდ, ორგანული კანონით განისაზღვრა,

- საბჭოს მიერ ინსპექტორის მხრიდან მისთვის წარდგენილი დასკვნების, საბჭოს მიერ დისციპლინური დევნის დაწყებისა და დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება¹⁰²
- ინსპექტორის მიერ გაწეული საქმიანობის (მათ შორის, მიღებული საჩივრებისა და შესაბამისი დასკვნების) თაობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება.¹⁰³

ამასთანავე, გაიზარდა ინსპექტორის უფლებამოსილებები, რის შედეგადაც მას უფლება აქვს, ორგანული კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის ან სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე.¹⁰⁴ მნიშვნელოვანია, რომ ორგანული კანონით დადგენილია ამ გადაწყვეტილებების

⁹⁹ „სასამართლო სისტემის რეფორმირებისას კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი – 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი“ (2022), გვ. 8; ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 ოქტომბრის №774/2014 დასკვნა, პუნქტი 24, 66, 72, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ALNv1S>

¹⁰⁰ Opinion on the draft Organic Law amending the Organic Law on Common Courts, adopted by the Venice Commission at its 124th online Plenary Session (8-9 October 2020), CDL-AD(2020)021-e, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3J12Kam>

¹⁰¹ „სასამართლო სისტემის რეფორმირებისას კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი – 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი“ (2022), გვ. 8.

¹⁰² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁰³ იქვე, 51¹ მუხლის მე-12 პუნქტი.

¹⁰⁴ იქვე, 75¹² მუხლის პირველი პუნქტი.

გამოქვეყნების ვალდებულება, ისევე როგორც საბჭოს სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.¹⁰⁵

თუმცა კანონმდებლობა დღემდე არ ითვალისწინებს ინსპექტორის დასკვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გამოქვეყნებას. დასკვნები ხელმისაწვდომია მხოლოდ ინსპექტორის წლიურ ანგარიშში, განზოგადებული სახით, რაც გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

საზოგადოებისათვის ასევე არ არის ხელმისაწვდომი საბჭოს გადაწყვეტილებები მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. როგორც აღინიშნა, ორგანული კანონი ითვალისწინებს მხოლოდ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნებას, თუმცა საზოგადოებრივი ინტერესის საგანია მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება და საბჭოს არგუმენტაცია. შესაბამისად, სათანადო გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი იყოს ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით.¹⁰⁶

ლ) სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

ორგანული კანონი კვლავ არ ითვალისწინებს იმ მნიშვნელოვანი ხარვეზის აღმოფხვრას, რომელიც კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს უკავშირდება. მოქმედი კანონმდებლობით, გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა.¹⁰⁷ კოლეგია შედგება 5 წევრისგან და ის უფლებამოსილია, თუ მას 3 წევრი ესწრება.¹⁰⁸ ასეთი დანაწესით საფრთხე ექმნება სამართალწარმოების პროცესის სამართლიანობას, ვინაიდან თეორიულად შესაძლებელია, საერთო შემადგენლობის 5 წევრიდან მოსამართლე ბრალეულად ცნოს კოლეგიის ორმა წევრმა და მას პასუხისმგებლობა და სახდელი დააკისროს.¹⁰⁹

საბოლოო ჯამში, მართალია, სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები ცალკეული საკვანძო საკითხების არსებითად გაუმჯობესებულ რეგულირებას ითვალისწინებდა, თუმცა დისციპლინური სამართალწარმოების კუთხით კვლავ დარჩა გამოწვევები, რომლებიც დროულ და ეფექტიან გადაწყვეტას მოითხოვდა. ამის საპირისპიროდ, 2021 წლის 30 დეკემბერს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, საზოგადოებრივი ჩართულობისა და კონსულტაციების გამართვის გარეშე, დაჩქარებული წესით განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვნად უკან გადადგმული ნაბიჯია და ქმნის დისციპლინური პასუხისმგებლობის ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის მიზნით გამოყენების რისკებს.

¹⁰⁵ იქვე, 75¹² მუხლის მეორე პუნქტი.

¹⁰⁶ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 16-17.

¹⁰⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴⁰ მუხლის მეორე პუნქტი.


¹⁰⁸ იქვე, 75²⁴ მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰⁹ სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 17.

III. სტატისტიკური მონაცემები

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 და 2021 წლების საქმიანობის ანგარიშებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2020 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შევიდა 151 დისციპლინური საჩივარი,¹¹⁰ 2021 წელს კი – 156.¹¹¹



¹¹⁰ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 6.

¹¹¹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 6.

2020 და 2021 წლებში ინსპექტორის სამსახურში შესული საჩივრების რაოდენობა თითქმის იდენტურია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2018-2019 წლის მაჩვენებლებს (2018 – 318 საჩივარი, 2019 – 215 საჩივარი). გასული წლების მაჩვენებელთან შედარებით საჩივრების სიმცირის მიზეზად, ინსპექტორის განმარტებით, პანდემია დასახელდა.¹¹²

2020 წელს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა წინასწარი მოკვლევა დაიწყო 176 საჩივრის საფუძველზე (2019 წლის 28 და 2020 წლის 151 საჩივარზე), ხოლო დაასრულა – 165 საჩივარზე.¹¹³ რაც შეეხება 2021 წლის მონაცემებს, წინასწარი მოკვლევა მიმდინარეობდა 167 საჩივრის საფუძველზე (2020 წლის 11 და 2021 წლის 156 საჩივარზე), ხოლო დასრულდა – 150 საჩივარზე.¹¹⁴

ამასთანავე, 2020 წელს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მოამზადა 117 დასკვნა,¹¹⁵ ხოლო 2021 წელს – 118.¹¹⁶ ამგვარად, 2020 წლის საანგარიშო პერიოდში ინსპექტორმა მოკვლევა დაასრულა და დასკვნა მოამზადა მიღებული საჩივრების 92%-ზე, რაც 2019 წლის მაჩვენებელს 5%-ით აღემატება.¹¹⁷ 2021 წელს კი მოკვლევა დასრულდა და დასკვნა მომზადდა მიღებული საჩივრების 90.4%-ზე, რაც თითქმის გასული წლის მაჩვენებლის იდენტურია.

შედეგად, 2020-2021 წლების საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შესული საჩივრების რაოდენობა, ისევე როგორც ინსპექტორის საქმიანობის ეფექტიანობა, დაახლოებით ერთნაირია. ამასთანავე, ინსპექტორის მიერ საქმის მოკვლევის დასრულებისა და დასკვნების მომზადების პროცენტული მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია და სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობაზე მიუთითებს.

კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი ასევე იღებს გადაწყვეტილებებს დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე. 2020 წლის პერიოდში, ინსპექტორმა მიიღო 89 გადაწყვეტილება, 2018-

¹¹² დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 6.

¹¹³ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 11; 2020 წლის დასასრულისთვის წინასწარი მოკვლევა მიმდინარეობდა 2020 წელს მიღებულ 11 საჩივარზე.



¹¹⁴ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 11; 2021 წლის დასასრულისთვის წინასწარი მოკვლევა მიმდინარეობდა 2021 წელს მიღებულ 16 საჩივარზე.

¹¹⁵ 2019 წელს მიღებულ საჩივრებზე 22 დასკვნა, ხოლო 2022 წელს მიღებულ საჩივრებზე – 94; ამასთანავე, აღნიშნული 117 დასკვნა მომზადდა 120 საჩივარზე 94 მოსამართლის მიმართ – ზოგიერთი მოსამართლე ორი ან სამი კატეგორიის საქმეს განიხილავს. რიგ შემთხვევებში, მოსამართლეთა მიმართ რამდენიმე საჩივარია წარმოდგენილი. მოსამართლეთა სხვადასხვა ინსტანციაში გადასვლის გამო მათი საერთო რაოდენობა განსხვავდება ინსტანციების შესაბამისად მოსამართლეთა რაოდენობისგან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, პალატასა თუ კოლეგიაში მოსამართლეთა სიმცირის გამო, სხვადასხვა კატეგორიის მოსამართლეები განიხილავდნენ იმ კატეგორიის საქმეს, რომელშიც ისინი არ იყვნენ განაწილებულნი. აქედან გამომდინარე, მოსამართლეთა რაოდენობა საქმეთა კატეგორიებისა თუ ინსტანციების შესაბამისად, განსხვავებულია დასკვნებში მოსამართლეთა საერთო რაოდენობისგან; დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13.

¹¹⁶ 2020 წელს მიღებულ საჩივრებზე 11 დასკვნა, ხოლო 2021 წელს მიღებულ საჩივრებზე – 107; აღნიშნული 118 დასკვნა მომზადდა 121 საჩივარზე 101 მოსამართლის მიმართ; დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13.

¹¹⁷ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13.

2019 წლის დასკვნებზე კი – 342. 2021 წელს ამგვარი გადაწყვეტილებების რაოდენობა ამავე წლის საჩივრებზე იყო 82, 2018-2019 წლებში მომზადებულ დასკვნებზე კი – 4.



არსებული მონაცემებით ნათელია, რომ აქტის კანონიერების შემოწმების მოთხოვნით დამოუკიდებელ ინსპექტორთან შესული დისციპლინური საჩივრების და, შესაბამისად, სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა ჯერ კიდევ მაღალია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს მიღებული გადაწყვეტილებების (აქტის კანონიერების საფუძვლით სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტილი) მაჩვენებელი 2020 წელთან შედარებით 23%-ით (86-დან 66-მდე) შემცირდა. ამგვარ დინამიკას, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, მათ მიერ მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოების შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დადებით შედეგებს უკავშირებს.¹¹⁸ საანგარიშო პერიოდში ნიშანდობლივია დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის მაჩვენებლები მოსამართლისათვის უფლებამოსილების ვადის გასვლის საფუძვლითაც. თუმცა არსებული მონაცემები, ასევე ამ საფუძვლით მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალიზი, საშუალებას არ იძლევა, ზუსტად განისაზღვროს, ვადის გასვლის შემდგომ, ეს მოსამართლეები ხელახლა გამწესდნენ თუ არა თანამდებობაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წელს 4 სადისციპლინო სხდომა ჩაატარა და დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული 137 დასკვნა განიხილა.¹¹⁹ 2021 წელს კი, სულ 1 სადისციპლინო სხდომა ჩატარდა, სადაც ინსპექტორის მომზადებული 50 დასკვნა განიხილეს.¹²⁰

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის პასუხად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა საკუთარ წერილში¹²¹ აღნიშნა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების მოკვლევის დასრულების შესახებ ინფორმაცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მხოლოდ დასკვნის მომზადების შემდეგ გადაეცემა, ხოლო სადისციპლინო სხდომაზე დისციპლინური საქმის წარდგენამდე, საქმის მასალები ინსპექტორის სამსახურში ინახება. ამასთანავე, ინსპექტორი საბჭოს დასკვნების მომზადების შესახებ ინფორმაციას აწვდის პერიოდულად (დაახლოებით თვეში ერთხელ, დასკვნების


¹¹⁸ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 12.

¹¹⁹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 14; მონაცემები არ ემთხვევა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის სტატისტიკურ ინფორმაციაში დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ მითითებულ მონაცემებს, რომლის თანახმად, საბჭომ 2020 წელს 146 დასკვნა განიხილა (იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, 2020 წლის სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vC6c7i>). დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინსპექტორის სამსახურის ანგარიშში ასახული სტატისტიკური ინფორმაცია გაცილებით დეტალურია და თავის თავში ცალ-ცალკე მოიაზრებს პირველად წარდგენილ დასკვნებსა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის (დევნის დაწყების) შემდეგ სადისციპლინო სხდომაზე განხილულ საქმეებს/დასკვნებსა და მათზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკური მონაცემებში ეს ინფორმაცია გაერთიანებულია და ერთი შეჯამებული რიცხვის სახით არის წარმოდგენილი.

¹²⁰ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13.

¹²¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 22 დეკემბრის წერილი №598/357-03-ო.

რაოდენობის შესაბამისად), ხოლო საბჭოს დასკვნები მის მიერ სადისციპლინო სხდომის დანიშვნის შემდგომ ეგზავნება.



რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, 2020 წელს საბჭომ სულ 158 გადაწყვეტილება მიიღო,¹²² ხოლო 2021 წლის პერიოდში – 55.¹²³

¹²² საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2020 წლის სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vC6c7i>). მონაცემები არ ემთხვევა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშში მოცემულ მონაცემებს, რომლის თანახმად, საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 156 გადაწყვეტილება (იხ. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 14). დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინსპექტორის სამსახურის ანგარიშში ასახული სტატისტიკური ინფორმაცია გაცილებით დეტალურია და თავის თავში ცალ-ცალკე მოიაზრებს პირველად წარდგენილ დასკვნებსა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის (დევნის დაწყების) შემდეგ სადისციპლინო სხდომაზე განხილულ საქმეებს/დასკვნებსა და მათზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკური მონაცემებში ეს ინფორმაცია გაერთიანებულია და ერთი შეჯამებული რიცხვის სახით არის წარმოდგენილი.

¹²³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2021 წლის სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3OTp70d>). მონაცემები არ ემთხვევა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში მოცემულ მონაცემებს, რომლის თანახმად, საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 56 გადაწყვეტილება (იხ. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ.13). დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინსპექტორის სამსახურის ანგარიშში ასახული სტატისტიკური ინფორმაცია გაცილებით დეტალურია და თავის თავში ცალ-ცალკე მოიაზრებს პირველად წარდგენილ დასკვნებსა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის (დევნის დაწყების) შემდეგ სადისციპლინო სხდომაზე განხილულ საქმეებს/დასკვნებსა და მათზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატისტიკური მონაცემებში ეს ინფორმაცია გაერთიანებულია და ერთი შეჯამებული რიცხვის სახით არის წარმოდგენილი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები									
2020 წელი					2021 წელი				
შეწყდა	დევნა დაიწყო და ახსნა-განმარტება ჩამოერთვა	ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ			შეწყდა	დევნა დაიწყო და ახსნა-განმარტება ჩამოერთვა	ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ		
		განხილვის შედეგები		არ განხილულა			განხილვის შედეგები		არ განხილულა
		შეწყდა	პასუხისგებაში მიეცა				შეწყდა	პასუხისგებაში მიეცა	
149	9 ¹²⁴	5	2	8	54 ¹²⁵	1 ¹²⁶	0	0	9

არსებული მონაცემებით ნათელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სადისციპლინო სხდომების ჩატარების სიხშირე ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მცირდება და სხდომებზე ბევრად ნაკლები საქმეები განიხილება, ვიდრე რეალურად წარმოებაშია. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში საბჭოს არ განუხილავს ინსპექტორის მიერ 2020 წელს მომზადებული დასკვნების მნიშვნელოვანი ნაწილი¹²⁷ და საერთოდ არ განუხილავს 2021 წელს მომზადებული დასკვნები, რაც დისციპლინური სამართალწარმოების მჭიდრო ვადების გათვალისწინებით, ნათლად მიუთითებს საბჭოს მხრიდან ამ ვადების მასობრივ დარღვევებსა და სამართალწარმოების პროცესის გაჭიანურებაზე.

დამატებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა უკავშირდება სამართალწარმოების შეწყვეტას/ნაწილობრივ შეწყვეტას და საბჭო მხოლოდ

¹²⁴ 4 შემთხვევა შეეხებოდა საპროცესო ვადების არსებით დარღვევას, 1 – თვითაცილებაზე უარის თქმას, 1 – პროცესის მონაწილე მხარის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვას, 1 – მოსამართლის მოვალეობის შესრულებას პირადი ინტერესით, 1 – ადმინისტრაციული უფლებამოსილების შეუსრულებლობას, 1 – დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოსათვის ხელშეშლას; დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 15.


¹²⁵ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2021 წლის სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3OTP70d>). მონაცემები არ ემთხვევა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში მოცემულ მონაცემებს, რომლის თანახმად, საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 56 გადაწყვეტილება, მათ შორის 55 - დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე (იხ. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ.13); დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის სტატისტიკურ მონაცემებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის უზუსტობა და დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ 55 გადაწყვეტილების ნაცვლად მითითებულია 54 გადაწყვეტილება.

¹²⁶ გადაწყვეტილება შეეხებოდა მოსამართლის მიერ მხარისადმი აშკარა უპატივცემულო მიმართვისა და მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედების შესაძლო ჩადენის ფაქტს; დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 14.

¹²⁷ 2020 წელს საბჭოს განსახილველი დარჩა 2019 წელს მომზადებული 69 და 2020 წელს მომზადებული 116 დასკვნა; დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 14.

უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების, კიდევ უფრო იშვიათად კი - მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.

ასევე საგულისხმოა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უმრავლეს შემთხვევებში არ იზიარებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნებში გამოხატულ პოზიციას, მოსამართლეთა ქმედებებში დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობის თაობაზე. კერძოდ, 2020 წელს, საბჭოს მიერ განხილული 137 დასკვნიდან 46 შემთხვევაში, 2021 წელს კი, განხილული 50 დასკვნიდან – 17 შემთხვევაში, ინსპექტორი რეკომენდაციას გასცემდა მოსამართლის მიმართ დევნის დაწყების თაობაზე.¹²⁸ თუმცა საბჭომ მათი უმრავლესობა არ გაითვალისწინა.



ბოლოს, დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ შესაძლებლობებს, პროცესის საჯაროობის თუ განსხვავებული აზრის გამოხატვასთან დაკავშირებით, პროცესის მონაწილეები საერთოდ არ იყენებენ. კერძოდ, 2020-2021 წლების საანგარიშო პერიოდში:

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სადისციპლინო სხდომებზე საჩივრის ავტორები არ მიუწვევია
- არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია საბჭოს წევრის აცხადებისა და დისციპლინური სხდომის გასაჯაროების უფლებით
- საბჭოს წევრებს განსხვავებული მოსაზრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ წარუდგენიათ
- საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის დამატებითი მოკვლევის ჩატარება არ დაუვალბია

¹²⁸ იქვე, გვ. 15; დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13.

- დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია, ისევე როგორც ინსპექტორს არ გამოუყენებია თვითაცილების უფლება.¹²⁹

ყოველივე ზემოაღნიშნული, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად ამცირებს დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის ქმედითობასა და ეფექტიანობას, რაც სერიოზული გამოწვევაა სასამართლოს ეფექტიანი, სამართლიანი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის კუთხით.

IV. დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობა

დისციპლინური გადაცდომების შემადგენლობების ახლებური მოწესრიგება რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში, 2019 წლის მიწურულს მოხდა და ჯერ კიდევ არ არსებობს ვრცელი, მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომელიც სამართალწარმოების მონაწილე სუბიექტებს ყველა აკრძალული ქცევის შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობას მისცემდა. შესაბამისად, ამ ნაწილში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართალწარმოებაში ჩართული ორგანოების მიერ 2020-2021 წლების განმავლობაში გაკეთებული განმარტებები გადაცდომის სახეებთან დაკავშირებით.

ამ მხრივ გამორჩეულად მნიშვნელოვანი და საინტერესოა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ განვითარებული პრაქტიკა, რადგან სწორედ ის შეიმუშავებს დასკვნებს წინასწარი მოკვლევის ეტაპზე. რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ინსპექტორის სამსახურია ასევე უფლებამოსილი, სათანადო სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე.

დამატებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის დასკვნებისა და გადაწყვეტილებების გაცნობა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ, როგორც პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, ინსპექტორის მიერ ცალკეულ დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით გაკეთებულ განმარტებებსა და განვითარებული მსჯელობების მნიშვნელოვან ნაწილს ასევე იზიარებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარ გადაწყვეტილებებში.

4.1. დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებული დასკვნები

დისციპლინური გადაცდომის სახეების განმარტებას უპირველესად დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნებში ვხვდებით. თუმცა, სამწუხაროდ, ეს დასკვნები მხოლოდ ინსპექტორის წლიურ ანგარიშებში, განზოგადებული სახით არის ხელმისაწვდომი. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის პასუხად, სამსახურმა საკუთარ წერილში¹³⁰ აღნიშნა, რომ კანონმდებლობის თანახმად,¹³¹ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია და კანონმდებლობა არ

¹²⁹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 14-15; დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13-14.

¹³⁰ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის №571/319-03-ო წერილი.

¹³¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴ მუხლი.

ითვალისწინებს ინსპექტორის დასკვნებისა და მოსაზრებების თუნდაც დაშტრიხული სახით გასაჯაროებას. თუმცა, იმავე წერილით, მან სოციალური სამართლიანობის ცენტრს მოაწოდა 7 დასკვნა, დისციპლინური გადაცდომის ცალკეულ სახეებთან დაკავშირებით, მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. ამ დასკვნების მოწოდება ინსპექტორის სამსახურის მხრიდან სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესების მზაობაზე მიუთითებს და მისასალმებელია. ამასთანავე, ასეთ პრაქტიკას საფუძველი ჩაეყარა 2020 წლის 15 ივნისიდან, როდესაც ინსპექტორმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ადმინისტრაციული საჩივარი და ორგანიზაციას მიაწოდა ცალკეული დასკვნები ზოგადი ფორმულირების სახით, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე.¹³² თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პრაქტიკა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტებს და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის გამჭვირვალობის მოთხოვნებს. ცხადია, სამართალწარმოების კონფიდენციალურობის ლეგიტიმური მიზნები ემსახურება მოსამართლეთა ინტერესების დაცვას მიმდინარე პროცესში, თუმცა ამ მიზნის განხორციელება თავისთავად და ყველა შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ სამართალწარმოების პროცესთან დაკავშირებული ყველა სხვა ინფორმაცია (რომლის გამოქვეყნების ვალდებულება უშუალოდ არ არის დადგენილი კანონმდებლობით) არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. ამასთანავე, დასკვნების ხელმისაწვდომობა აუცილებელია ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხის, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ობიექტურობისა და პრაქტიკის თანმიმდევრულობის შესაფასებლად.¹³³

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ინსპექტორის მიერ სოციალური სამართლიანობის ცენტრისათვის მოწოდებული დასკვნები, მართალია, დასაბუთებულობის დამაკმაყოფილებელი ხარისხით ხასიათდება, თუმცა უცნობია მათი შერჩევის კრიტერიუმები, ასევე ისიც, თუ რა პერიოდის საქმეებს ეხება. შესაბამისად, მათი ანალიზის საფუძველზე რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება რთულია.

ინსპექტორის დასკვნების ანალიზისას ასევე იმსახურებს ყურადღებას დისციპლინური სამართალწარმოების ვადებიც. საანგარიშო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,¹³⁴ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის წინასწარი გამოკვლევისა და დასკვნის მომზადების ვადა შეადგენდა 2 თვეს, რომლის გაგრძელებაც შესაძლებელი იყო 2 კვირით. რამდენადაც, ინსპექტორის დასკვნები ხელმისაწვდომია მხოლოდ განზოგადებული სახით, მათი ანალიზით რთულია ვადების დაცვაზე საუბარი. თუმცა ზოგად ტენდენციებზე დაკვირვება შესაძლებელია

¹³² „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „დამოუკიდებელმა ინსპექტორმა IDFI-ის ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა“, 9 ივლისი, 2020 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39yE10H>, წვდომის თარიღი: 02.05.2022).

¹³³ იქვე.

¹³⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁷ მუხლის პირველი პუნქტი (2021 წლის 30 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია); დღევანდელი რედაქციით ეს ვადა 1 თვეა და შესაძლოა გაგრძელდეს 2 კვირით.

სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ ინსპექტორის გადაწყვეტილების გაცნობით, რომელთა ანალიზიც ცხადყოფს, რომ 2020-2021 წლებში შესულ საჩივრებთან დაკავშირებით, საქმის წინასწარი მოკვლევის ვადები ძირითადად დაცულია და იშვიათ შემთხვევებში შეინიშნება რამდენიმე დღიანი გადაცილებები.¹³⁵ საინტერესოა ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ამგვარი მცირეხნიანი გადაცილებების მიუხედავად, ინსპექტორის სამსახური ნაკლებად იყენებს კანონით დაშვებულ ვადის გახანგრძლივების უფლებამოსილებას.¹³⁶ განსხვავებულ სურათს ქმნის 2020 წლამდე პერიოდის საქმეები, სადაც დასკვნები ხშირად რამდენიმე თვიანი ვადის გადაცილებით არის მომზადებული.¹³⁷ შესაბამისად, მისასალმებელია, რომ ამ მიმართულებით პრაქტიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, უცნობია, როგორ აისახება სამართალწარმოების განახევრებული ვადები ინსპექტორის საქმიანობაზე.

4.1.1. მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაკმარისი მიზეზით არსებითად დარღვევა

ეს დისციპლინური გადაცდომა, რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ცვლილებების შემდგომ, საკუთარ თავში მოიაზრებს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებასა და მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, რომლებიც ორგანული კანონის 2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით დამოუკიდებელ შემადგენლობებს წარმოადგენდა. ამასთანავე, მითითებული გადაცდომა გულისხმობს როგორც კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევას, ისე მხარისთვის გადაწყვეტილების გაგზავნისათვის გათვალისწინებული ვადის დარღვევასაც.¹³⁸

დისციპლინური გადაცდომის ამ სახეზე მსჯელობისას ინსპექტორი ადგენს 3 პირობის კუმულატიურად არსებობას: ა) საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევა; ბ) დარღვევის არსებითი ხასიათი; გ) აღნიშნული დარღვევისთვის საკმარისი მიზეზის არარსებობა.¹³⁹

ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ყურადღება ექცევა: ა) საქმის სირთულეს; ბ) საქმეზე განხორციელებულ მოქმედებებს (როგორც მოსამართლის, ისე მხარეთა მიერ); გ) მოსამართლის დატვირთულობასა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.¹⁴⁰

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლის დატვირთულობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლე და სტატისტიკური მონაცემები, ასევე, შვებულებისა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის

¹³⁵ დისციპლინური საქმე №51/21-1, დისციპლინური საქმე №106/21.

¹³⁶ გამონაკლისის სახით, იხ. დისციპლინური საქმე №189/19-1, დისციპლინური საქმე №189/19-2.

¹³⁷ მაგალითის სახით, იხ. დისციპლინური საქმე №283/18, დისციპლინური საქმე №159/18-4, დისციპლინური საქმე №165/18.

¹³⁸ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 19-20.

¹³⁹ იქვე, გვ. 21-22.

¹⁴⁰ იქვე; ასევე, სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 21.

პერიოდი.¹⁴¹ თუმცა იმ საქმეთა სირთულე და „წონა“, რომლითაც სტატისტიკური მაჩვენებლები დგინდება, კვლავ უგულებელყოფილია.¹⁴²

რაც შეეხება უშუალოდ დისციპლინური გადაცდომის შინაარსზე მსჯელობას, დამოუკიდებელი ინსპექტორი გადაცდომების განმარტებისას ეყრდნობა როგორც საპროცესო კანონმდებლობასა და შიდა ეროვნულ აქტებს, ისე საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნებს და სხვ. დასკვნებში განვითარებულ მსჯელობებში ასევე ვხვდებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური და შტატების სასამართლოების გადაწყვეტილებებს და სხვ.¹⁴³

როგორც განზოგადებული დასკვნების ანალიზი ცხადყოფს, საპროცესო ვადების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეები ძირითადად ეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებებს. 2020 წლის მონაცემებით, ვადის დარღვევა მერყეობდა 2 თვიდან 5 წლამდე,¹⁴⁴ 2021 წელს კი – 4 თვიდან 35 თვემდე.¹⁴⁵ ამასთანავე, ინსპექტორის მითითებით, დარღვევა უმეტესად მომდინარეობდა მხარეთა მოქმედებების, ასევე მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების სიმრავლიდან, გარკვეულ საქმეებზე კი – მოსამართლის უმოქმედობიდან.¹⁴⁶

ინსპექტორის აღნიშვნით, საპროცესო ვადების არსებითად დარღვევის შესახებ წარმოდგენილი საჩივრები სისხლის სამართლის საქმეებს, როგორც წესი, არ ეხება. 2020 წლის პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც დავის განხილვის ვადა 9-10 თვით დაირღვა, გადაწყვეტილების/განჩინების მომზადებისა და მხარისათვის გაგზავნა/ჩაბარების ვადა კი – 1 – 1.6 წლამდე პერიოდით.¹⁴⁷ თუმცა, 2021 წელს, ინსპექტორმა საქმის განხილვის საპროცესო ვადის არსებით დარღვევად არ ჩათვალა ფაქტი, როდესაც მოსამართლეს საქმე წარმოებაში ჰქონდა თითქმის 3 წლის განმავლობაში, რადგან გარემოებების თანახმად, საქმე განეკუთვნებოდა რთულ კატეგორიას, შედგებოდა 80-ზე მეტი ტომისგან და მოსამართლემ ამ პერიოდში 70-ზე მეტი სხდომა გამართა.¹⁴⁸ ამისგან განსხვავებით, გადაცდომად შეფასდა დასაბუთებული განაჩენის მხარეებისთვის 4 თვის დაგვიანებით გაგზავნის შემთხვევა, რადგან საქმის მასალების თანახმად, ვადის დარღვევამ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმის

¹⁴¹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 22.

¹⁴² სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა (2019), გვ. 21.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 24.

¹⁴⁵ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 18.

¹⁴⁶ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 25.

¹⁴⁷ იქვე, გვ. 24-25.

¹⁴⁸ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 18, დისციპლინური საქმე №20/21.

გონივრულ ვადაში გაგზავნის გაჭიანურება და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხება გამოიწვია და ეს განპირობებული იყო მოსამართლის ბრალეულობით.¹⁴⁹

ბოლოს, საინტერესოა, რამდენად იზიარებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ინსპექტორის დასკვნებს გადაცდომის ამ სახესთან დაკავშირებით და რა სტანდარტით ხელმძღვანელობს მათი შეფასებისას. ინსპექტორის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის მიერ დისციპლინური დევნის დაწყების მოთხოვნით წარდგენილი დასკვნების 76% სწორედ საპროცესო ვადების არსებით დარღვევას შეეხებოდა, საბჭო მათ უმრავლესობას არ დაეთანხმა და მხოლოდ 4 შემთხვევაზე მიიღო დისციპლინური დევნის დაწყების გადაწყვეტილება.¹⁵⁰ რაც შეეხება 2021 წლის პერიოდს, საბჭოს მიერ 2021 წელს განხილული დასკვნების 74% სწორედ საპროცესო ვადის არსებით დარღვევას შეეხებოდა, რომელთა 32% შეიცავდა რეკომენდაციას მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. თუმცა ამ საფუძვლით დევნის დაწყების რეკომენდაციით წარდგენილი დასკვნები საბჭომ საერთოდ არ გაიზიარა.¹⁵¹ საკუთარ არგუმენტაციაში, ის ძირითადად სტატისტიკაზე, საქმეთა სიმრავლესა და მოსამართლის მიერ განხორციელებულ საპროცესო ქმედებებზე უთითებს.

4.1.2. მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით

ეს შემადგენლობა დისციპლინური გადაცდომის ახალ სახეს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკა განსაკუთრებით მწირია. ამასთანავე, ინსპექტორის განმარტებით, ის, თუ რას მოიცავს „პირადი ინტერესი“ და რა ქმედება შეიძლება ჩაითვალოს ამ ინტერესის ზეგავლენით განხორციელებულად, კანონით განმარტებული არ არის. შესაბამისად, ამ საფუძვლით შემოსული საქმეების გამოკვლევა სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.¹⁵²

ამ დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით საჩივრის ავტორების მოთხოვნები, როგორც წესი, უკავშირდება მოსამართლის მიერ: ა) საქმის შედეგით დაინტერესების ფაქტს, ბ) მიკერძოებულ დამოკიდებულებას რომელიმე მხარის მიმართ, ან გ) ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას.¹⁵³

თავად ინსპექტორი, ქმედების კვალიფიკაციისათვის ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტორებზე: ა) მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს, ან/და ბ) ის

¹⁴⁹ იქვე, გვ. 19, დისციპლინური საქმე №16/21.

¹⁵⁰ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 26.

¹⁵¹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 14, 19.

¹⁵² დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 28; ინსპექტორი განმარტებისას ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. უმეტესწილად, ბანგალორის პრინციპებსა და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნებს, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

¹⁵³ იქვე, გვ. 28.

უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად, უნდა ჰქონდეს რაიმე პირადი ინტერესი ან მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან.¹⁵⁴

როგორც განზოგადებული დასკვნებიდან იკვეთება, ქმედების ამ გადაცდომად კვალიფიკაციისას განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს იმგვარი ქმედების შეფასება, რომელსაც მოსამართლე საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს, რამდენადაც აქ პირადი ინტერესის არსებობის დადასტურება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით რთულია. ინსპექტორის დაკვირვებით, გამოწვევას წარმოადგენს იმის დადგენა, განიცდიდა თუ არა მოსამართლე რაიმე სახის ზეწოლას, ასევე, გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედებდა პირადი ინტერესის საფუძველზე, თუ მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ამ შემთხვევაში ასევე პრობლემურია განსაზღვრა, ინსპექტორმა ასეთი ქმედება უნდა შეაფასოს და გადაწყვეტილება მიიღოს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობის დაუშვებლობის საფუძველით, თუ მიიღოს დასკვნა დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობა/არარსებობის თაობაზე.¹⁵⁵ ხოლო, თუკი მოსამართლე შეცდომას უშვებს საკითხის გადაწყვეტისას, მაგრამ საქმის გამოკვლევით დგინდება, რომ ის უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენის და კეთილსინდისიერების საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.¹⁵⁶

ბოლოს, საინტერესოა, რომ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში შემოსული საჩივრებიდან, ინსპექტორს არცერთი არ შეუფასებია ამ დისციპლინურ გადაცდომად.¹⁵⁷ ეს ფაქტი, ერთი მხრივ, შესაძლოა, მეტყველებდეს საჩივრის ავტორთა მხრიდან ამ შემადგენლობის არასწორ განმარტებაზე, ხოლო, მეორე მხრივ - პირადი ინტერესის არსებობის დასაბუთების სირთულეებზე, რაზეც თავად ინსპექტორიც მიუთითებს.¹⁵⁸ რაც შეეხება 2021 წლის საანგარიშო პერიოდს, ინსპექტორის ანგარიშში, სამწუხაროდ, შესაბამისი პრაქტიკა განხილული არ არის.¹⁵⁹

4.1.3. მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა

როგორც პრაქტიკის ანალიზიდან ირკვევა, ამ საფუძველით წარდგენილი საჩივრების ავტორების უმრავლესობას პროცესში მონაწილე მხარეები წარმოადგენენ და ინსპექტორს სწორედ მოსამართლის მიერ მხარისადმი შესაძლო უპატივცემულობის გამოხატვის ფაქტებზე მიმართავენ. კერძოდ, მოსამართლეთა ქმედებების დისციპლინურ გადაცდომად შეფასების საფუძველი უმეტესად ხდება მხარისადმი უპატივცემულობის გამომხატველი ფრაზები/სიტყვები, რომლებიც მათ სასამართლოში საქმეთა განხილვის პროცესში

¹⁵⁴ იქვე, გვ. 29.

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 19, 31.

¹⁵⁸ იქვე, გვ. 29.

¹⁵⁹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 16.

გამოიყენეს.¹⁶⁰ ინსპექტორის ინსტიტუტის მიერ ამგვარ ქმედებათა გამოკვლევა კი ძირითადად სასამართლო სხდომის ოქმების აუდიო- და ვიდეოჩანაწერების შესწავლის მეშვეობით ხდება,¹⁶¹ ამასთანავე, წარმოთქმულ ფრაზებს ინსპექტორის სამსახური აფასებს მათი კონტექსტისა და ინტონაციის გათვალისწინებით.¹⁶²

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდო გადაცდომებთან ერთად, პრაქტიკაში იკვეთება შემთხვევები, როდესაც საჩივარში მითითებული ფაქტები რეალობას არ შეესაბამება ან მხარის სუბიექტურ აღქმაზეა დამყარებული. ასევე, განზოგადებულ დასკვნებში მიეთითება შემთხვევებზე, როდესაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ გაიზიარა ინსპექტორის დასკვნა მოსამართლის მიერ მხარის მიმართ უპატივცემულობის გამოვლენის და, შესაბამისად, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე, და მიუთითა, რომ „შესაძლოა, მოსამართლის მიმართვა არაეთიკური იყო, ის მხოლოდ პროცესის სრულყოფილად წარმართვას და, შესაბამისად, მხარეთა უფლებების დაცვას ემსახურებოდა“.¹⁶³

4.1.4. მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს

როგორც დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობა, წარმოადგენს ერთგვარ „ღია ნორმას“, რომლის ფორმულირებაც საკმაოდ ზოგადია და ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ქმნის.¹⁶⁴ ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ამ გადაცდომის შემადგენლობა მოიცავს მოსამართლის მიერ სასამართლოში ან მის გარეთ ჩადენილ ქმედებას. შესაბამისად, განსაკუთრებით საინტერესოა, როგორია პრაქტიკაში არსებული განმარტებები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედ რედაქციაში არსებობდა მსგავსი ჩანაწერი და დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნეოდა „მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას“.

მოსამართლის მიერ შეუფერებელი ქცევის გამოკვლევისას ინსპექტორი აფასებს შემდეგ გარემოებებს: ა) მოსამართლის ქცევა საფრთხეს უქმნის თუ არა სასამართლოს ავტორიტეტს; ბ) არსებითად ხომ არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; გ) არსებითად არღვევს თუ არა საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს; დ) ზიანს აყენებს თუ არა საზოგადოების ნდობას სასამართლოს მიმართ; ე) ეჭვქვეშ ხომ არ აყენებს სასამართლოს მიერ მხარეთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას. ინსპექტორის განმარტებით, მოსამართლის მაღალი

¹⁶⁰ იქვე, გვ. 32.

¹⁶¹ იქვე, გვ. 34; ასევე, შემადგენლობის განმარტებისას დამოუკიდებელი ინსპექტორი ძირითადად ეყრდნობა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნას, ასევე, ბანგალორის პრინციპებსა და მოსამართლეთა ეთიკის წესებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოსამართლის სათანადო ქცევის მნიშვნელობაზე სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის, მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 31-32.

¹⁶² დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 23.

¹⁶³ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 34, დისციპლინური საქმე №206/18.

¹⁶⁴ დისციპლინური გადაცდომის ამ შემადგენლობის განმარტებისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი ეყრდნობა გაეროს მიერ 1985 წელს შემუშავებულ „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს“, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნას.

სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება თავის თავში მოიცავს სტანდარტებს, რომელთა პირად ან პროფესიულ ცხოვრებაში დარღვევა დამოკიდებულია საზოგადოების აღქმაზე. თუმცა, მოსამართლის ყველა ქმედება, რომელიც საზოგადოების ნაწილის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობრივი ნორმების დარღვევად აღიქმება, არ შეიძლება გახდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძველი, რადგან ქმედების გადაცდომად მიჩნევისას უნდა შეფასდეს არა მხოლოდ თავად საქციელი, არამედ თანმდევი გარემოებებიც.¹⁶⁵

როგორც განზოგადებული დასკვნების ანალიზი ცხადყოფს, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ამ შემადგენლობასთან მიმართებით შეფასდა მოსამართლის ქმედებები, განხორციელებული როგორც უშუალოდ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, ისე სასამართლოს გარეთ, ყოფით ცხოვრებაში, როდესაც მოსამართლე საკუთარ უფლებამოსილებას არ ახორციელებდა. ამასთანავე, ინსპექტორი გადაცდომის სავარაუდო ჩადენის შემთხვევას ძირითადად მოსამართლის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას ადგენს და ნაკლებად – სასამართლოს გარეთ განხორციელებული ქმედების შეფასებისას.

საინტერესოა ერთ-ერთი შემთხვევა, სადაც ინსპექტორმა დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნია მოსამართლის ქმედება, როდესაც მან ადვოკატს მორიგი კითხვის დასმა შეაწყვეტინა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „უფრო მეტი კონკრეტიკა, ბატონო, ჰიპოთეტურ შეკითხვებს მე არ ვიკვლევ აქ... ექსპერტი დაკითხეთ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით“; მოსამართლის აქტიურობასთან დაკავშირებით ადვოკატის პროტესტზე მოსამართლემ განაცხადა, რომ მოსამართლეა და არ იყო ვალდებული, ყველაფრისთვის ესმინა.¹⁶⁶ ასევე, მოსამართლემ დაცვის მხარის მიერ ბრალდების მხარის მოწმის დაკითხვის დროს პროკურორს მიუთითა, თუ როდის უნდა დააყენოს პროტესტი. ინსპექტორის დასკვნით, მოსამართლის ქმედებებმა დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, საფრთხე შეუქმნა მხარეების მიერ თანაბარ პირობებში მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის უზრუნველყოფას.¹⁶⁷

ეს შემთხვევა საინტერესოა იმით, რომ რიგ შემთხვევებში, სხვა საქმეებში, მოსამართლის მიერ მხარის მიმართ გამოთქმული სიტყვიერი შენიშვნები, მის მიერ სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვად შეფასდა და არა ქმედებად, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს.¹⁶⁸ შესაბამისად, პრაქტიკაზე დაკვირვებისას, გარკვეულწილად, ბუნდოვანია, თუ როგორ არის გამიჯნული ეს ორი შემადგენლობა იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მოსამართლის ქმედება ჩადენილია სასამართლო სხდომაზე, პროცესის ერთ-ერთი მხარის მიმართ. სამწუხაროდ, ინსპექტორის დასკვნებზე ნაკლები წვდომა არ იძლევა ამ საკითხზე უფრო სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 37.

¹⁶⁶ დისციპლინური საქმე №2/20.

¹⁶⁷ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 36.

¹⁶⁸ იქვე; დისციპლინური საქმე №2/20.

დამატებით, 2021 წლის განზოგადებულ პრაქტიკაში ინსპექტორმა ყურადღება გაამახვილა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკმეზე, სადაც სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლემ დაცვის მხარეს არ მისცა დაცვის მოწმეების დაკითხვისა და მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა. ამასთანავე, მოსამართლემ ისე დაამთავრა საქმის არსებითი განხილვა, რომ ბრალდებულს არ მისცა საბოლოო სიტყვის წარმოთქმის შესაძლებლობა. შემდგომში კი, მას არაგონივრული დრო განუსაზღვრა დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად. ინსპექტორის მიერ მოსამართლის ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის სავარაუდო შემთხვევად შეფასდა.¹⁶⁹

4.1.5. მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი

დისციპლინური გადაცდომის ეს შემადგენლობა, ორგანულ კანონში 2020 წლის 1 იანვარს შეტანილ ცვლილებებამდე, არ არსებობდა და ასეთი ქმედება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების ჭრილში განიხილებოდა.¹⁷⁰ ამდენად, ამ გადაცდომის განმარტებისთვის ინსპექტორის მიერ შემუშავებული დასკვნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ საფუძველით, ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნები ძირითადად სამოქალაქო სამართლის საქმეებს ეხება.¹⁷¹

აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმის საკითხის შესწავლის დროს დამოუკიდებელი ინსპექტორი ეყრდნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლებს, რომლებშიც მოცემულია მოსამართლის აცილების სამართლებრივი საფუძვლები და მოწესრიგებულია მოსამართლის თვითაცილების საკითხი. ინსპექტორის განმარტებით, დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობის განმარტების კუთხით განსხვავებულია საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი აცილების საფუძველი (როდესაც მოსამართლე პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას), რამდენადაც ეს საფუძველი დისპოზიციური შინაარსით გამოირჩევა და ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობას წარმოშობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამ შემადგენლობასთან მიმართებით არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი, ფაქტობრივად დადასტურებულ გარემოებასა და მოსამართლის მიერ აცილების საკითხის საკუთარი ინტერესის შესაბამისად, მიკერძოებულად გადაწყვეტას შორის.¹⁷²

ამასთანავე, აცილების/თვითაცილების წესის სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე მსჯელობისას ინსპექტორი იყენებს მიუკერძოებლობის შეფასების ობიექტურ და სუბიექტურ ტესტს.¹⁷³ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლის სუბიექტური მიკერძოება ვერ მტკიცდება, დამატებით უნდა გამოიყენებოდეს სასამართლოს ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტი. ანუ, უნდა

¹⁶⁹დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 25; დისციპლინური საქმე №142/20

¹⁷⁰დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 37.

¹⁷¹იქვე.

¹⁷²იქვე, გვ. 38.

¹⁷³იქვე; ტესტის კრიტერიუმების განმარტებისას, დასკვნებში მითითებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზოგად სტანდარტებსა და მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებზე.

არსებობდეს ესა თუ ის გარემოება, რომელიც მხარის ეჭვს სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ, ობიექტურ საფუძველს უქმნის. ასეთ დროს მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, არის თუ არა მოსამართლე მართლაც მიკერძოებული სუბიექტურად. „მთავარია, არსებობდეს რაიმე ობიექტური, ფაქტობრივი გარემოება, რომლის საფუძველზე მხარის ეჭვის წარმოშობა შეიძლება გამართლებული, ლოგიკური იყოს“.¹⁷⁴

საინტერესოა, რომ როგორც განზოგადებული დასკვნების ანალიზიდან ირკვევა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკა ამ საკითხზე, რიგ შემთხვევებში, ინსპექტორისგან განსხვავებულ მიდგომებს ემყარება. მაგალითისათვის, ერთ-ერთ საქმეში, მოსამართლემ განიხილა დავა, სადაც მხარე იყო უნივერსიტეტი, რომელშიც მოსამართლეს აკადემიური თანამდებობა ეკავა.¹⁷⁵ მოსამართლემ საქმე არ აიცილა. საბჭომ ინსპექტორის დასკვნა არ გაიზიარა და მიუთითა, რომ მოსამართლეები არ უნდა იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისაგან. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაუზიარონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება მომავალ იურისტებს. შესაბამისად, ეს არ ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შესატანად, რადგან მხარეს მოსამართლის აცილების შუამდგომლობით არ მიუმართავს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ თავად მოსამართლეს თვითაცილების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრებოდა, თუ სუბიექტური ტესტის გათვალისწინებით, მას წინასწარ ექნებოდა ჩამოყალიბებული აზრი კონკრეტულ დავასთან მიმართებით. საბჭოს განმარტებით, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც სახეზეა აცილების აშკარა საფუძველი. ამ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეს აცილების შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, ხოლო მოსამართლეს თვითაცილებისთვის აშკარა საფუძველები არ ჰქონია, ინსპექტორის განმარტებით, მოცემულ დისციპლინურ საქმეში გადაცდომის ჩადენის ნიშნები არ გამოიკვეთა.¹⁷⁶

4.2. დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებული გადაწყვეტილებები

რეფორმის მნიშვნელოვანი სიახლეა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისათვის დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის უფლებამოსილების მინიჭება.¹⁷⁷

ამ საკითხებზე ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, თუკი:

ა) მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა ამოიწურა;

ბ) არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება;

¹⁷⁴ დისციპლინური საქმე №199/19-2.

¹⁷⁵ დისციპლინური საქმე №76/18.

¹⁷⁶ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 41.

¹⁷⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტი.

გ) მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება;

დ) საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას.¹⁷⁸

აღსანიშნავია, რომ ცვლილებებამდე ამგვარ უფლებამოსილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებდა. ინსპექტორის მოსაზრებით, ეს ცვლილება ბევრად ამარტივებს და ეფექტიანს ხდის დისციპლინური სამართალწარმოების პროცესს.¹⁷⁹ თუმცა საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლებით სამართალწარმოების შეწყვეტის უფლებამოსილება ექსკლუზიურად ინსპექტორს ეკუთვნის (იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კვლავ გააჩნია სამართალწარმოების შეწყვეტის უფლებამოსილება, თუმცა სხვა საფუძვლებით)¹⁸⁰ იმ შემთხვევებშიც კი, თუკი ისინი იმ დროისთვის გამოვლინდება, როდესაც საქმეს უკვე იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს.¹⁸¹ შესაბამისად, მსგავსი მოწესრიგება, შესაძლოა, საპირისპიროდ, ამცირებდეს სამართალწარმოების პროცესის მოქნილობას და აჭიანურებდეს მის დასრულებას.

ინსპექტორის ამ უფლებამოსილების ექსკლუზიურობის კიდევ ერთი გამოწვევაა შემთხვევები, როდესაც საჩივარში/განცხადებაში წარდგენილია რამდენიმე მოთხოვნა და მათგან ერთ ნაწილზე არსებობს სამართალწარმოების შეწყვეტის/დაწყებაზე უარის თქმის საფუძველი, ხოლო მეორე ნაწილი შესაძლო დისციპლინურ გადაცდომებს ეხება. მსგავს შემთხვევებს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა ინსპექტორმა დაადგინა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, გადაცდომის ნაწილში სხდომაზე იმსჯელებს და განკარგულებას მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხოლო ინსპექტორის მიერ შეწყვეტის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო საფუძვლების არსებობისას, გადაწყვეტილებას სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ, იღებს თავად ინსპექტორი.¹⁸²

ინსპექტორის გადაწყვეტილებები, მოსამართლისა და დისციპლინურ საქმეში მონაწილე სხვა პირების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე საჯაროა და ხელმისაწვდომია თავად ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე,¹⁸³ შესაბამისად, საინტერესოა ამ გადაწყვეტილებათა განხილვადება და ანალიზი, სამართალწარმოების შეწყვეტის თითოეული საფუძვლის მიხედვით. ამგვარი ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს, როგორია დისციპლინური სამართალწარმოების ვადები, გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხი, პრაქტიკის ერთგვაროვნება და თანმიმდევრულობა და სხვ.

¹⁷⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁷⁹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 45.

¹⁸⁰ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებების თაობაზე, ვრცლად იხ. თავი IV – „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები“.

¹⁸¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² პირველი პუნქტი.

¹⁸² დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 12.

¹⁸³ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მე-3 პუნქტი.

4.2.1. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადის ამოწურვა

რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ხანდაზმულობის ვადების ცვლილება 5-დან 3 წლამდე.¹⁸⁴ ამასთანავე, ინსპექტორი იღებს სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის/შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას, თუ ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის ან მისთვის პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა.¹⁸⁵ ეს დათქმა, ერთი შეხედვით, გაცილებით ფართო შინაარსის მატარებელია, ვიდრე ხანდაზმულობის ვადებით დადგენილი წინაპირობები. თუმცა თავად ინსპექტორის განმარტებით, ორგანული კანონის ეს დებულება მას უფლებამოსილებას ანიჭებს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ ქმედების ჩადენიდან მასზე საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.¹⁸⁶ შესაბამისად, ინსპექტორის მიერ ამ საფუძვლით მიღებული გადაწყვეტილებები, სწორედ იმ შემთხვევებს ეხება, როდესაც საჩივარში მითითებული მოთხოვნა წარდგენის დროისათვის უკვე ხანდაზმულია.

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის/შეწყვეტის შესახებ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ 2020-2021 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გადაცდომის სავარაუდო ჩადენის დრო მერყეობს 2004-2017 წლებში. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებების აბსოლუტურ უმრავლესობაში სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნები იმთავითვე ხანდაზმულია. ასევე საინტერესოა, რომ ასეთი მოთხოვნების უმრავლესობა, ამავე დროს, მოსამართლეთა მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას ეხება. ეს დაკვირვება მიუთითებს სავარაუდო საჩივრის ავტორების მხრიდან როგორც დისციპლინური გადაცდომების შინაარსის არასწორ აღქმაზე, ისე ხანდაზმულობის ვადების თაობაზე ნაკლებად ინფორმირებულობაზე. ასევე, საანგარიშო პერიოდში, ამ საფუძვლით მიღებულ გადაწყვეტილებათა აბსოლუტური უმრავლესობა ეხება 2018-2019 წელს წარდგენილ საჩივრებს, რომლებზე სამართალწარმოების დამოუკიდებლად შეწყვეტის უფლებამოსილებაც ინსპექტორს მხოლოდ 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით მიენიჭა.¹⁸⁷

¹⁸⁴ 2020 წლის 1-ლ იანვრამდე მოქმედი რედაქციით, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, თუკი გადაცდომის ჩადენის დღიდან გასული იყო 5 წელი, ორგანული კანონის 75² მუხლის 2020 წლის 1-ლი იანვრიდან მოქმედი რედაქციის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი“.

¹⁸⁵ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁸⁶ მაგ., იხ. დისციპლინური საქმე №8/21, დისციპლინური საქმე №113/19.

¹⁸⁷ 2020 წლის პერიოდში, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა, 2018-2019 წლებში მომზადებული დასკვნების საფუძველზე, დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ 22 გადაწყვეტილება მიიღო; ხოლო 2020 წელს განხილული საქმეებიდან მხოლოდ 1 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საჩივარი დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის დადგენილი ვადის დარღვევით იყო წარდგენილი.

რაც შეეხება უშუალოდ გადაწყვეტილებათა შინაარსის განზოგადებას, აღსანიშნავია, რომ ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხი 2018-2019 წლებთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში, გაუმჯობესებულია, თუმცა ის მაინც დიდწილად შაბლონურ ხასიათს ატარებს.

4.2.2. არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება

ამ საფუძველით ინსპექტორის მიერ სამართალწარმოების შეწყვეტის პრაქტიკა მწირია და 2020-2021 წლების საანგარიშო პერიოდში სულ სამ საქმეს მოიცავს.¹⁸⁸ სამივე საქმეში უკვე არსებობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები იმავე მოსამართლის მიმართ იმავე ქმედებაზე დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე და ინსპექტორმა მათზე სამართალწარმოება შეწყვიტა. გადაწყვეტილებებში არ გვხვდება არანაირი შინაარსობრივი მსჯელობა სამართალწარმოების შეწყვეტის ამ საფუძვლის თაობაზე. ინსპექტორი მხოლოდ შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებს ეყრდნობა.

4.2.3. მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებათა განზოგადებისას განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა იმ გადაწყვეტილებათა ანალიზი, რომლებიც მოსამართლეთათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს ეხება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2020-2021 წლის საანგარიშო პერიოდში, ამ საფუძველით მიღებული დისციპლინური სამართალწარმოების გადაწყვეტილებების უმრავლესობა 2018-2019 წლებში წარდგენილ საჩივრებს ეხება. ამასთანავე, გადაწყვეტილებათა უმრავლესობაში მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველად მითითებულია სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლა, სამართალწარმოების შეწყვეტამდე ინსპექტორის მიერ ამ საჩივრებთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნებში კი გადაცდომის სავარაუდო ჩადენა არ დასტურდება. თუმცა გადაწყვეტილებათა ანალიზისას ვხვდებით რამდენიმე შემთხვევას, როდესაც ინსპექტორის დასკვნა მიუთითებს, რომ მოსამართლის ქმედებაში იკვეთება კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, მაგრამ ამ საქმეებზე, სამართალწარმოება, მოგვიანებით, მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო შეწყდა.

მაგალითად, **№297/18-1 დისციპლინურ საქმეზე** მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ინსპექტორის სამსახურს საჩივარი წარედგინა 2018 წლის 7 დეკემბერს, ინსპექტორის დასკვნა კი, წინასწარი მოკვლევის ვადის მცირე გადაცილებით, 2019 წლის 27 თებერვალს მომზადდა. საჩივრის ავტორის მითითებით, მის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, მოსამართლე არღვევდა ბრალდებულის უფლებებს, ბრალდებულს არ აძლევდა კითხვების დასმის შესაძლებლობას და ხშირად ემუქრებოდა სხდომათა დარბაზიდან გაძევებით. საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმებოდა მოსამართლის

¹⁸⁸ დისციპლინური საქმეები №197-18-1, №74/19, №174/19.

მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მტკიცებულებათა შეფასებებთან და სასამართლოზე წარდგენილ შუამდგომლობებთან დაკავშირებით. ინსპექტორის დასკვნაში განვითარებული მსჯელობა სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევას ეხება¹⁸⁹ და სამართლებრივი სტანდარტებისა¹⁹⁰ და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიუთითებს, რომ მოსამართლის ქმედებაში იკვეთება გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი. ამ საქმეზე, დისციპლინური სამართალწარმოება ინსპექტორის გადაწყვეტილებით, 2020 წლის 12 ოქტომბერს, დასკვნის მიღებიდან 8 თვეში შეწყდა, იმგვარად, რომ ინსპექტორის დასკვნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ განუხილავს.

ასევე, №145/20 დისციპლინურ საქმეზე ინსპექტორს საჩივარი წარედგინა 2020 წლის 14 დეკემბერს, დასკვნა კი 2021 წლის 12 თებერვალს მომზადდა. საჩივრის ავტორების მითითებით, 2020 წლის 24 ნოემბერს, მოსამართლემ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში, განახორციელა ქმედებები, რომლებიც შეიცავდა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. კერძოდ, მან არასრულწლოვანი მოწმეების დაკითხვის პროცედურის დაწყების წინ, არასრულწლოვნების ბრალდებული მამა სასამართლო სხდომას დაასწრო; არასრულწლოვან მოწმეებს ადვოკატის ყოლის უფლება შეუზღუდა, მათი ინტერესების დამცველ ადვოკატებს კი, ხელი შეუშალა საადვოკატო საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებაში; არ უზრუნველყო სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის, მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპისა და პროცესის მონაწილის ღირსების დაცვა. ინსპექტორის დასკვნაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, მოსამართლის ქმედება შეიცავდა მოსამართლის მაღალ სტატუსთან შეუფერებელი ქმედების,¹⁹¹ როგორც გადაცდომის, ჩადენის ნიშნებს. მითითებული გარემოებების მიუხედავად, 2021 წლის 1 ივნისს ამ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა, რადგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების საფუძველზე, მოსამართლე აღარ ახორციელებდა უფლებამოსილებას. მოსამართლისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზეზებზე გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის.

განსაკუთრებით საინტერესოა დისციპლინური საქმე №26/18, რომლის ფარგლებშიც საბჭომ 2019 წლის 13 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე. ინსპექტორის სამსახურისათვის 2018 წლის 5 თებერვალს წარდგენილი საჩივარი (რომელზეც ინსპექტორის დასკვნა გამოტანილია 2018 წლის 1 ოქტომბერს) საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) ეხებოდა.¹⁹² საჩივრის ავტორის მითითებით, მის

¹⁸⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

¹⁹⁰ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლი, ბანგალორის პრინციპები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

¹⁹¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას.

¹⁹² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2004 წელს, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი 2010 წელს დაადგინა. 2011 წლის მარტში, დაცვის მხარემ განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები, საქმის განხილვას დღემდე უსაფუძვლოდ აჭიანურებენ. საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ მის მიმართ დევნა 14 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მათ შორის, სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში საქმე შეტანილი იყო საჩივრის წარდგენის დროისათვის უკვე 7 წლის განმავლობაში.

მითითებული საქმე იმითაც არის საინტერესო, რომ გადაწყვეტილებას თან ახლავს მოსამართლის ახსნა-განმარტება, რომელიც მან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2019 წლის 12 აპრილს წარადგინა. თუმცა, დევნის დაწყების და ახსნა-განმარტების წარდგენის მიუხედავად, საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა თითქმის 17 თვის შემდეგ, იმ საფუძველით, რომ მოსამართლე საბჭოს განკარგულებით გათავისუფლდა თანამდებობიდან.

სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველით მიღებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებათა ანალიზი ასევე მიუთითებს, 2018-2019 წლების პერიოდში, ინსპექტორის მხრიდან საქმის წინასწარი გამოკვლევის ვადების გარკვეულ დარღვევებზე,¹⁹³ ამასთანავე, რიგ შემთხვევებში, გადაწყვეტილებებში არ ჩანს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნის მიღების,¹⁹⁴ ასევე, მოსამართლისათვის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტის ზუსტი დრო¹⁹⁵ და საფუძველები¹⁹⁶, რაც ართულებს გადაწყვეტილებათა კრიტიკული ანალიზის შესაძლებლობას.

4.2.4. მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერება

მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერების შემოწმების მოთხოვნა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, რამდენადაც ინსპექტორის სამსახური არ არის სასამართლოს ზემდგომი ინსტანცია, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ამასთანავე, ინსპექტორის განმარტებით, აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა თავისი არსით გამორჩეულია და კონკრეტულ ხანდაზმულობის ვადაზე თუ მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნაზე არ არის დამოკიდებული.¹⁹⁷

ამ საფუძველით მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივ დასაბუთებაში საინტერესოა განსხვავება სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის, რომლის განმარტებისას, ინსპექტორი დისციპლინური კოლეგიის მიერ განვითარებულ პრაქტიკას

¹⁹³ მაგალითისათვის იხ., დისციპლინური საქმე №75-18-1 – ინსპექტორის დასკვნა მომზადდა საჩივრის წარდგენიდან 6 თვის შემდეგ; დისციპლინური საქმე №91/312-18 – 4 თვის შემდეგ; დისციპლინური საქმე №283/18 – 5 თვის შემდეგ.

¹⁹⁴ დისციპლინური საქმე №207/19, დისციპლინური საქმე №49/21, დისციპლინური საქმე №44/21.

¹⁹⁵ დისციპლინური საქმე №165/18, დისციპლინური საქმე №1/20, დისციპლინური საქმე №304/18-4, დისციპლინური საქმე №66/287-3, დისციპლინური საქმე №49/270-2-18, დისციპლინური საქმე №52/19.

¹⁹⁶ დისციპლინური საქმე №145/20, დისციპლინური საქმე №91/312-18.

¹⁹⁷ ამ საფუძველით მიღებულ გადაწყვეტილებათა შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი საკუთარ დასაბუთებაში ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის პრაქტიკასა და სადისციპლინო კოლეგიის/პალატის განმარტებებზე მითითებებს.

ეყრდნობა. კერძოდ, კოლეგიის განმარტებით, „... დისციპლინური გადაცდომისა და სამართლებრივი შეცდომის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, მოსამართლემ დაუშვა შეცდომა, მაგრამ იგი ექვემდებარება გამოსწორებას. შეცდომის გამოსწორების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრება, ...გადაწყვეტილების გასაჩივრებით, შესაძლებელია, ზემდგომმა სასამართლომ აღმოფხვრას ქვემდგომი სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა. ...ამდენად, ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია დაშვებული შეცდომის შეცვლა და მისი გამოსწორება იმავე ან ზემდგომი სასამართლოს მიერ, რაც გამორიცხავს რაიმე უარყოფითი შედეგის მიღებას. მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. აღნიშნული კვალიფიცირდება სამართლებრივ შეცდომად და დაუშვებელია ამ საფუძვლით მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება“.¹⁹⁸

დამოუკიდებელი ინსპექტორის ანგარიშისა და გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგების თანახმად, საჩივრის ავტორები, ძირითადად, მხოლოდ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების უკანონოებაზე უთითებენ. თუმცა ასევე არის შემთხვევები, როდესაც მოთხოვნათა ნაწილი პროცესის სხვადასხვა ეტაპების კანონიერებასაც ხდის სადავოდ, მაგალითად, შუამდგომლობის არდაკმაყოფილება, მტკიცებულებების არასათანადოდ გამოკვლევა და ა.შ.¹⁹⁹ ამასთანავე, ხშირია შემთხვევები, სადაც დისციპლინური საჩივრების ავტორთა არგუმენტაცია, გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების გარდა, ასევე ეხება დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებსაც. ინსპექტორი დამოუკიდებლად ამოწმებს საჩივარში მითითებულ მოთხოვნებს და თუკი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დასტურდება მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის შემთხვევა, საჩივართან დაკავშირებით დისციპლინური სამართალწარმოება მხოლოდ ნაწილობრივ – აქტის კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში წყდება.

4.3. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის სტრატეგიული განვითარება და რეკომენდაციები

2020-2021 წლების საანგარიშო პერიოდში, დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობაში სიახლე იყო სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი, რაც ამ სამსახურის განვითარების შესახებ შემუშავებული პირველი კონცეფციაა და გათვლილია 2020-2021 წლებზე.²⁰⁰

პირველ რიგში, მისასალმებელია, რომ დოკუმენტი შემუშავდა დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სასამართლო ხელისუფლების საკითხზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიური

¹⁹⁸ დისციპლინური საქმე №2/20-1.

¹⁹⁹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 46.

²⁰⁰ იქვე., გვ. 53.

ჩართულობით.²⁰¹ თანამშრომლობის პროცესში ინსპექტორის სამსახურისათვის რეკომენდაციების სახით შეთავაზებული იქნა მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა მაგალითად, დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე ორგანოებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაღრმავება, დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები, დასკვნების დასაბუთების გაზრდით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გაუმჯობესება და სხვ.²⁰²

საინტერესოა, რომ დოკუმენტში გაცხადებული მისიისა და ხედვის ფარგლებში შეფასებულია ინსტიტუტის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და გამოწვევები და ყურადღება გამახვილებულია, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ა) სამსახურის ინსტიტუციური მოწყობა; ბ) ფინანსური და მატერიალური რესურსების სიმწირე; გ) სამართალწარმოების ვადების განჭვრეტადობა და პროცესის გაჭიანურება; დ) ადეკვატური პროცედურების ნაკლებობა; ასევე ე) ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები; ვ) პრაქტიკის სიმწირე; ზ) ნდობა და ცნობადობა.²⁰³

სტრატეგიის დოკუმენტში, დამატებით, ყურადღება ეთმობა დისციპლინური გადაცდომების არსებული ჩამონათვალის აღქმისა და განჭვრეტადობის შესაძლო სირთულეებს,²⁰⁴ რასაც ასევე უწყობს ხელს არსებული პრაქტიკის სიმწირე. ინსპექტორი საუბრობს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერების ფარგლებში დისციპლინური სამართალწარმოების „მკაცრ კონფიდენციალურობაზე“,²⁰⁵ რომელიც საშუალებას არ იძლევა ინსპექტორის დასკვნებში განვითარებული განმარტებები და პრაქტიკა, ინდივიდუალური მოსამართლის დაცვის გარანტიებით, ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელმა ინსპექტორმა, 2020 წლის 14 დეკემბერს არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართული შეხვედრის ფარგლებში, ასევე მიუთითა დისციპლინური სამართალწარმოების კანონმდებლობით დადგენილი ვადების არარეალურობაზე, რაც ართულებს სამსახურის მიერ საქმის სრულყოფილ და სიღრმისეულ გამოკვლევას. ინსპექტორმა ასევე ისაუბრა დისციპლინური საქმისწარმოების შეწყვეტის ინსტიტუტის საკანონმდებლო მოწესრიგების ხარვეზიანობაზე.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 და 2021 წლის საქმიანობის ანგარიშებში ცალკე თავები²⁰⁶ ეთმობა სამსახურის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომლებიც ეხება, როგორც სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, ისე პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს. კერძოდ, ინსპექტორი 2020 წლის საქმიანობის ანგარიშში მიუთითებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადების არარეალურობაზე,

²⁰¹ იქვე, გვ. 55.

²⁰² იქვე, გვ. 54.

²⁰³ სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები, გვ. 4 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KZrOPG> ; წვდომის თარიღი 02.05.2022).

²⁰⁴ იქვე, გვ. 5.

²⁰⁵ იქვე, გვ. 10.

²⁰⁶ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, თავი 7; დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, თავი 9.

რაც მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირის, განსახილველ საქმეთა სიმრავლისა და სასამართლო სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურული გამოწვევების გათვალისწინებით, ხშირად ირღვევა. ასევე, პრაქტიკაში გამოვლენილ, მოსამართლეთა ისეთ ქმედებებზე, რომლებიც არ შეესაბამება გადაცდომის არცერთ შემადგენლობას, თუმცა თავისი არსით, შესაძლოა, იყოს დისციპლინური გადაცდომა, რაც გადაცდომის ახალი სახეების ჩამოყალიბების საჭიროებაზე მიუთითებს.²⁰⁷

დამატებით, ანგარიშებში საუბარია პოტენციური საჩივრის ავტორებისათვის სამართალწარმოების პროცესის შესახებ ყველა სახის ინფორმაციის მიწოდების, ხარვეზის ინსტიტუტის დაზუსტების, დავის ალტერნატიული მექანიზმების განვითარების ხელშეწყობის, სამართლებრივ აქტებში დაშვებული უზუსტობების გასწორების, ინსპექტორის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერების საფუძვლების დაზუსტებისა და საჩივრის წინასწარი მოკვლევის ეტაპზე მოსამართლის მიერ შუამდგომლობით მიმართვის სამართლებრივი რეგულირების საჭიროებებზე.²⁰⁸

2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შინაარსი ცხადყოფს, რომ საქართველოს პარლამენტის ყურადღების მიღმა დარჩა დამოუკიდებელი ინსპექტორის რეკომენდაციების უმრავლესობა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მეტიც, ცვლილებების თანახმად, პრობლემური სამართალწარმოების ვადები კიდევ უფრო შემცირდა, დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს კი დაემატა იმგვარი შემადგენლობა, რომლის პრაქტიკაში პრობლემურობაზე მითითებას არც ინსპექტორის ანგარიშებში ვხვდებით და არც თავად პარლამენტის დასაბუთებაში აისახება.

ამის მიუხედავად, საგულისხმოა, რომ ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში ვრცლად არის მიმოხილული 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა ისინი კრიტიკულად შეფასებული არ არის. მაგალითისათვის, საკუთარ შეფასებაში ინსპექტორის სამსახური საუბრობს დისციპლინური გადაცდომის ახალი შემადგენლობის (მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით) დაწესების საკითხზე. მისი მითითებით, „გამოხატვის თავისუფლების სარგებლობისას ყოველგვარი ეთიკური წესების დარღვევა არ შეიძლება მოსამართლის დისციპლინირების საფუძველი გახდეს. შესაბამისად, აუცილებელია მკაფიო ზღვარის გავლება, ერთი მხრივ, მოსამართლის მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევასა და, მეორე მხრივ, მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენას შორის“. თუმცა დასკვნის სახით მითითებულია, რომ მისასალმებელია დისციპლინური გადაცდომების დაკონკრეტება, რადგან ეს უზრუნველყოფს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. საბოლოო ჯამში, ინსპექტორის სამსახური ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებს დადებითად აფასებს და მიუთითებს, რომ ინსპექტორისა და მისი აპარატის დამოუკიდებლობის გარანტიების ზრდასთან ერთად, სამართალწარმოების პროცესში არსებული ამ ხარვეზების აღმოფხვრა

²⁰⁷ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 56.

²⁰⁸ იქვე, გვ. 58.

საბოლოო ჯამში განაპირობებს სამართალწარმოების ეფექტიანობას.²⁰⁹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ოფიციალურ შეფასებებში არსებული მსგავსი შინაარსობრივი არათანმიმდევრულობა უარყოფითად აისახება მის მიმართ არსებული ნდობის ხარისხზე და კითხვებს აჩენს ამ სამსახურის ინსტიტუციურ და პოლიტიკური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის თაობაზე.

V. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო სისტემის რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილებებით, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ ძირითად ორგანოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური წარმოადგენს.²¹⁰ თუმცა კანონმდებელი კვლავ უტოვებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუკი საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.²¹¹ ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ორგანული კანონით დადგენილი, მსგავსი გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და გამოქვეყნების ვალდებულება ამ მიმართულებით პრაქტიკის ანალიზის კარგ შესაძლებლობას ქმნის.

სამწუხაროდ, კანონმდებლობა კვლავ არ იძლევა საშუალებას, ხელმისაწვდომი გახდეს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებები მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე, თუნდაც მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. ინსპექტორის მსგავსად, იუსტიციის საბჭომ საკუთარ ოფიციალურ წერილში მიუთითა სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალურობაზე და უარი განაცხადა გადაწყვეტილებების, დამტრიახული სახით, მოწოდებაზე.²¹² თუმცა, საგულისხმოა, რომ პრაქტიკის ანალიზისას, საბჭოს ვებგვერდზე მაინც მოიძებნა 2 გადაწყვეტილება, რომელიც გამოქვეყნებულია მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე და ეხება არა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას, არამედ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებას.²¹³

საბჭოს სხდომები დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით კვლავ იშვიათად ტარდება, რაც იწვევს დისციპლინურ საქმეთა განხილვის გაჭიანურებასა და კანონმდებლობით დადგენილი ვადების მასობრივ დარღვევას.²¹⁴ დისციპლინური სამართალწარმოების ვადების დარღვევის ნათელ სურათს იძლევა ვებგვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებების

²⁰⁹ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 53.

²¹⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტი.

²¹¹ იქვე, 75¹² მუხლის მე-2 პუნქტი.

²¹² საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 6 დეკემბრის 882/3297-03-ო წერილი; „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴ მუხლი.

²¹³ დისციპლინური საქმე №50/271-18-2; დისციპლინური საქმე №27/19.

²¹⁴ უფრო ვრცლად იხ. თავი III – „სტატისტიკური ინფორმაცია“.

ანალიზიც. რამდენადაც, საანგარიშო პერიოდში განხილულ საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა 2018-2019 წლებში შემოსულ საჩივრებს შეეხება²¹⁵, სამართალწარმოების მჭიდრო ვადების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ საბჭოს მხრიდან საქმის განხილვის ვადები მნიშვნელოვნად ირღვევა და ვადის გადაცილებები საშუალოდ 1 წლიდან 2.5 წლამდე მერყეობს.

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა

საანგარიშო პერიოდში, საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა საპროცესო ვადების დაცვასთან დაკავშირებით წარდგენილ საჩივრებს შეეხება.

შესამჩნევია, რომ საბჭოს გადაწყვეტილებები, სამართლებრივი სტანდარტების განმარტებისას თითქმის სრულად იმეორებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების შინაარსს. აქაც, საბჭო საპროცესო კანონმდებლობასა და შიდა ეროვნულ აქტებს, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და სასამართლო პრაქტიკას ეყრდნობა.

საბჭო, ინსპექტორის მსგავსად, ვადების დარღვევის „არასაპატიო მიზეზით“ შეფასებისას ითვალისწინებს მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლეს და სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე, შვებულებისა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდს. თუმცა საგულისხმოა, რომ როდესაც მსჯელობა სამართლებრივი სტანდარტების საფუძველზე საქმის ინდივიდუალური გარემოებების შეფასებას ეხება, საბჭოს მსჯელობა ძალიან მწირია. გაურკვეველია, მოსამართლის დატვირთულობის რა სტატისტიკური მაჩვენებლები ან ვადის დარღვევის რა პერიოდი ახდენს გავლენას საბჭოს გადაწყვეტილებაზე, შეწყვიტოს ან განაგრძოს დისციპლინური სამართალწარმოება. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული მოსამართლის დატვირთულობის და დასრულებული საქმეების მაჩვენებელი არც ისე მაღალია, არ არის მითითებული, თუ რა სირთულის საქმეს ეხება წარდგენილი საჩივარი და არსებობს საპროცესო ვადის მნიშვნელოვანი გადაცილება. ამის მიუხედავად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე.²¹⁶

²¹⁵ იქვე.

²¹⁶ მაგალითისათვის, დისციპლინური საქმე №53/18, რომელშიც მოსამართლემ წარმოებაში მიღებიდან მხოლოდ 10 თვის შემდეგ მიიღო საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინება, საქმის გადაცემიდან 1 წლისა და 5 თვის განმავლობაში კი არ განუხილავს ეს საჩივარი. 2018 წელს მოსამართლემ, მისთვის განსახილველად გადაცემული საქმეებიდან, მათი 44.5% დაასრულა; დისციპლინური საქმე №47/19, სადაც მოსამართლემ 11 თვით დაარღვია საქმის განხილვის ვადა და ამ პერიოდში არანაირი საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია. დატვირთულობის მაჩვენებელი – 2018 წელს 295 საქმიდან დასრულებულია 201 (68.13%); დისციპლინური საქმე №62/19, სადაც თითქმის არ ვხვდებით მსჯელობას საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე, საბჭო მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე მითითებით შემოიფარგლება; დისციპლინური საქმე №230/18, რომელშიც, ინსპექტორის დასკვნის თანახმად, განსახილველი საქმე არ წარმოადგენდა რთული კატეგორიის დავას და მოსამართლის მიერ საქმეზე არცთუ ისე მოკლე ინტერვალით ხორციელდებოდა საპროცესო მოქმედებები. საქმის განხილვის საპროცესო ვადა კი 1 წლითა და 6 თვით გაჭიანურდა. ამასთანავე, მოსამართლის დატვირთულობის მაჩვენებლები არ იყო მაღალი: 2018 წელს – 148 სამოქალაქო საქმიდან დასრულებულია 93, 62%), ხოლო 2019 წელს,

ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, საპროცესო ვადების დარღვევის, როგორც დისციპლინური გადაცდომის, ჩადენასთან მიმართებით დამოუკიდებელი ინსპექტორის შეფასებების დიდ ნაწილს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ იზიარებს.²¹⁷ გადაწყვეტილებებში კი ვერ ვხვდებით მსჯელობას იმ მიზეზებსა და არგუმენტებზე, რომლებიც ნათელს გახდიდა, თუ რას ეფუძნება საბჭოს განსხვავებული მიდგომები.

საბოლოო ჯამში, ამგვარი მწირი და ძირითადად შაბლონური მსჯელობები მნიშვნელოვნად ამცირებს საბჭოს გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხს და ნაკლებად განჭვრეტადს ხდის, როგორც ამ კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობას, ისე მისი შეფასების კრიტერიუმებს და, საბოლოო ჯამში, ვერ უზრუნველყოფს ერთგვაროვანი და მყარი პრაქტიკის განვითარებას.

მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით

საბჭოს მიერ 2020-2021 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება შემთხვევებს, როდესაც საჩივრის ავტორები, მოსამართლეთა მხრიდან საქმის მიმართ მხოლოდ პირადი ინტერესის არსებობის შესაძლო შემთხვევებზე მიუთითებენ. ამასთანავე, ინსპექტორის მსგავსად, *საბჭო ამ შემადგენლობაში მოიაზრებს როგორც ა) მოსამართლის მიკერძოებულ დამოკიდებულებას საქმის ერთ-ერთი მხარის მიმართ ან/და საქმის შედეგით დაინტერესებას, ისე ბ) მოსამართლის მიერ ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებას ან შესრულებაზე უარის თქმას.*

ბუნდოვანია, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება რატომ მოიაზრებს მოსამართლის მხრიდან საქმის მიმართ პირადი ინტერესის არსებობას, როდესაც ამგვარი ქმედება, შესაძლოა, სხვა მიზეზებითა და მოტივებით იყოს განპირობებული. დამოუკიდებელი ინსპექტორის მითითებით, საკუთარ განზოგადებულ დასკვნებში, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა, როგორც შემადგენლობა, ასევე მოიაზრებს მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას.²¹⁸ შესაბამისად, ამგვარი ბუნდოვანება მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის როგორც ამ კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობის ერთგვაროვანი განმარტების, ისე პრაქტიკის ანალიზის პროცესში.

ასევე, განსახილველი საქმის მიმართ მოსამართლის შესაძლო პირადი ინტერესის თაობაზე მსჯელობისას, საინტერესოა, რომ დისციპლინური გადაცდომის ეს შემადგენლობა, ორგანულ კანონში არსებული მოწესრიგებით, დამოუკიდებლობის პრინციპის დამრღვევ ქმედებათა

156 სამოქალაქო საქმიდან დასრულებულია – 88 (56%). ამავე საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, საბჭოს მხრიდან, არ ვხვდებით საქმეზე ინდივიდუალურ მსჯელობასა და დასაბუთებას.

დისციპლინური საქმე №234/18, კერძო საჩივარი მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 1 წლის და 9 დღის განმავლობაში. 2018 წლის მდგომარეობით, განსახილველად ეწერა 400 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა 225 საქმე (56%). ამ გადაწყვეტილებაში ასევე არ ვხვდებით საბჭოს დასაბუთებას.

²¹⁷ იხ. 4.1. ქვეთავი – „დამოუკიდებელი ინსპექტორის განზოგადებული დასკვნები“.

²¹⁸ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 19-20.

ჩამონათვალში ექცევა. თუმცა, საბჭო საკუთარ მსჯელობაში ძირითადად იმ სამართლებრივ სტანდარტებზე მიუთითებს, რომლებიც ეხება მოსამართლის მიუკერძოებლობას (როგორც გადაწყვეტილების მიღებისას, ისე უშუალოდ პროცესის მსვლელობისას) და არა დამოუკიდებლობას, მის ობიექტურ და სუბიექტურ ასპექტებს.²¹⁹

პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ცალკეული გადაწყვეტილებები, სადაც საქმის გარემოებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ვხვდებით განსხვავებულ მსჯელობებსა და სამართლებრივ სტანდარტებს, რომლებიც პრაქტიკაში ხშირად არ მეორდება.

მაგალითისათვის, **№177/18 დისციპლინურ საქმეში** საჩივრის ავტორი მიუთითებდა მოსამართლის მიკერძოებულობასა და საქმის შედეგით დაინტერესებაზე. ავტორის აღნიშვნით, მოსამართლეს საქმეზე თვითაცილება არ განუცხადებია. გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი, დგინდება სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე, „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდი კი, დასაბუთებული უნდა იყოს. საბოლოოდ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად, საბჭომ დაასკვნა, „რომ არსებული ვარაუდი და მოცემულობა, გარეშე დამკვირვებლისთვის „მომეტებული ალბათობის“ ხარისხით არ იძლევა იმ დასკვნის შესაძლებლობას, რომ სადავო ფაქტს, შესაძლოა, შედეგად გამოეწვია საქმეზე არაობიექტური სასამართლო გადაწყვეტილების მიღება. დაცვის მხარის მოსაზრება ამ კუთხით არ იწვევს „საფუძვლიან ეჭვს“ მოსამართლის მიკერძოებულობაზე“. საგულისხმოა, რომ მსგავსი სტანდარტის გამოყენებით მსჯელობას დანარჩენ გადაწყვეტილებებში არ ვხვდებით.

ასევე საინტერესოა **№195/18 დისციპლინური საქმე**, რომელშიც განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა დისციპლინური გადაცდომისა და შეცდომის გამოიკვანის საკითხს ეხება. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებდა მოსამართლის მხრიდან კონკრეტული საპროცესო წესის დარღვევაზე (სასამართლოსთვის ცნობილი იყო მოპასუხის მისამართის ცვლილება, თუმცა გზავნილი მაინც სხვაგან გაგზავნა). შესაბამისად, საბჭომ განმარტა, რომ „დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და აღინიშნოს, რომ მხოლოდ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი არ იძლევა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაციის შესაძლებლობას და მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ჩადენის შეფასებისას, სავალდებულო წესით კუმულაციურად მხედველობაში მიიღება: მოსამართლის ბრალეულობა და მისი ხარისხი, შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, შეცდომის ხარისხი, მოსამართლის მოტივი, ქმედებათა განმეორებითობა და ინტენსივობა და ა.შ.“ გადაწყვეტილებაში მითითებულია სადისციპლინო კოლეგიის პრაქტიკაზეც, რომლის თანახმადაც, „შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი – არის ძირითადი

²¹⁹ მაგალითისათვის, დისციპლინური საქმე №19/20; დისციპლინური საქმე №18/20; დისციპლინური საქმე №30/20.

ფაქტორები, რაც ქმნის მიჯნას დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის, შესაბამისად, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს მოსამართლის ქმედებას ზუსტად უნდა მიენიჭოს კვალიფიკაცია“.²²⁰ საბოლოოდ საბჭომ მიუთითა, რომ შეცდომასთან მიმართებით საქმეში არ იკვეთებოდა მოსამართლის მოტივი, შეცდომა კი ექვემდებარებოდა გამოსწორებას. შედეგად, „შეცდომის ხარისხის, მოსამართლის მოტივის, ქმედებისადმი მისი განზრახი და ასევე, უხეში გაუფრთხილებლობის გამომრიცხავი დამოკიდებულების გამო, საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი უნდა შეფასდეს სამართლებრივ შეცდომად, რაც ქმედების დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაციას გამოიცხადებს“.

დისციპლინური საქმე №51/271-18-2 პირველ რიგში იმით არის საინტერესო და ნიშანდობლივი, რომ ის მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებას და ახსნა-განმარტების ჩამორთმევას ეხება და არა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

მოცემულ საქმეში საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ ორ იდენტურ შემთხვევაზე (სასამართლოში საჩივრის დადგენილი ვადის დარღვევით წარდგენა) მოსამართლეს განსხვავებული განჩინება აქვს მიღებული. ეს კი, მოსამართლის მხრიდან ერთგვაროვან შემთხვევებში არაერთგვაროვან, განსხვავებულ მიდგომაზე მიუთითებს. შესაბამისად, გადაწყვეტილებაში განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა ეთმობა საკითხს, თუ რა კავშირია პრაქტიკის ერთგვაროვნებას, სასამართლოს მიუკერძოებლობასა და მხარეთა თანასწორუფლებიანობას შორის.

საბჭოს განმარტებით, „ერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობა აუცილებელია სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებისა და მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის გამოსარიცხად... სასამართლო გადაწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობის ხარისხს ამცირებს სასამართლოს მიმართ“. ამასთანავე, „კანონის გამოყენების სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია კანონის ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად და მხარეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად. სამართლიანი სასამართლო განხილვის არსებით ასპექტს წარმოადგენს მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რაც გულისხმობს საქმის წარმოდგენის თანაბარ შესაძლებლობას ორივე მხარისათვის“. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო მოსამართლის მიერ თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის შესაძლო დარღვევა, რაც დისციპლინური გადაცდომაა. თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მიმართ მოსამართლის პირადი ინტერესის არსებობა დისციპლინური გადაცდომაა, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს. ამისგან განსხვავებით, გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა მთლიანად ეთმობა მიუკერძოებლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს.

მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა

²²⁰ სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №1/04-12.

მოცემულ დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებითაც, გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად იმეორებს ინსპექტორის დასკვნებში გამოყენებულ სამართლებრივ სტანდარტებსა და მათ დამდგენ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებს. ამასთანავე, საჩივრებში მითითებული ფაქტების შესწავლა და შეფასება, ძირითადად სხდომების აუდიო-და ვიდეოჩანაწერების შესწავლის მეშვეობით ხდება. თუმცა ამ ნაწილშიც, საბჭოს გადაწყვეტილებებში, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ ვხვდებით ვრცელ მსჯელობას, ისევე როგორც არ არის მკაფიო, მოსამართლის რა ტიპის ქმედებასა თუ ფრაზებს მიიჩნევს საჩივრის ავტორი უპატივცემულობის გამოხატვად და რატომ არ იზიარებს ამ მოსაზრებას ინსპექტორი/საბჭო.²²¹

საინტერესოა **დისციპლინური საქმეები №57/19 და №206/18**, სადაც, დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნით, არსებული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავდა მოსამართლეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს, თუმცა საბჭოს ინსპექტორის მსჯელობა არ გაუზიარებია. ამ საქმეებზე საბჭოს გადაწყვეტილებები ასევე საინტერესოა შედარების თვალსაზრისითაც, რამდენადაც **№57/19 საქმეში** არ ჩანს, რა ფაქტობრივ გარემოებებს დაეყრდნო ინსპექტორი დადებითი დასკვნის გაცემისას და რას გულისხმობდა საჩივრის ავტორი, როდესაც მიუთითებდა, რომ მოსამართლე „გამუდმებით უხეშად აწყვეტინებდა და არ ასრულებინებდა სათქმელს. ასევე, მოსამართლემ დაინახა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მაგრამ საქმე არ გადასცა საგამომიებო ორგანოებს“. საბჭოს მსჯელობის ნაწილში ასევე არ ვხვდებით ფაქტების სამართლებრივ შეფასებას, არამედ მხოლოდ მითითებას, რომ სხდომის აუდიო ოქმების შესწავლისას მითითებული ფაქტები არ დასტურდება.

აღნიშნულისგან განსხვავებით, **№206/18 საქმეში** დეტალურად არის მითითებული ის კონკრეტული ამონარიდები სასამართლო პროცესიდან, რომლებიც საჩივრის ავტორმა მოსამართლის მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფად მიიჩნია და რომლებიც, ინსპექტორმა, სავარაუდოდ, გაითვალისწინა თავის დასკვნაში, გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე. აქ ასევე ვხვდებით ამ ფრაზების სამართლებრივ შეფასებას საბჭოს მიერ, რომელმაც მიიჩნია, რომ „მოსამართლემ შესაძლოა არაეთიკურად მიმართა მხარეს, აღნიშნული მიმართვა მხოლოდ პროცესის სრულყოფილად წარმართვისაკენ იყო მიმართული. რაც, მხარეთა უფლებების დაცვას ემსახურებოდა“.

მითითებულ საქმეებთან შესადარებლად, განსაკუთრებით საინტერესოა **დისციპლინური საქმე №273/18**, რომელიც, როგორც ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სასამართლო პროცესზე მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებს ეხებოდა. მართალია, დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნის თანახმად, საქმის გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავდა მოსამართლის მიერ გადაცდომის

²²¹ მაგალითისათვის, **დისციპლინური საქმე №35/19**, სადაც არ ჩანს, თუ რა ჩაითვალია მოსამართლის მხრიდან ირონიულ შევითხვად საჩივრის ავტორის მიმართ. ასევე, **დისციპლინური საქმე №28/249-18**, სადაც არ ჩანს, რას გულისხმობს საჩივრის ავტორი, როდესაც მიუთითებს, რომ „სასამართლოს მოსამართლე საქმის განხილვის დროს იყო აგრესიული, უყვიროდა და უპატივცემულოდ მიმართავდა მხარეებს“.

ჩადენის ნიშნებს, თუმცა საბჭოს სამართლებრივი შეფასება უპრეცედენტოდ ვრცელი და დეტალურია.

გადაწყვეტილებაში, პირველ რიგში, განხილულია მოსამართლისა და ადვოკატების გამოხატვის თავისუფლების დაცვისა და შეზღუდვის სტანდარტები,²²² რომლებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.²²³ ამასთანავე, გადაწყვეტილებაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ვრცლად არის განხილული და შეფასებული მოსამართლის თითოეული მოქმედება/ფრაზა, რომელზეც საჩივრის ავტორები (ბრალდებულის წარმომადგენლები) მიუთითებდნენ, ისევე, როგორც თავად პროცესის მონაწილე ადვოკატების ქმედებები და ფრაზები. შეფასების პროცესში კი, საბჭომ მნიშვნელოვანი და საინტერესო განმარტებები გააკეთა.

კერძოდ, გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა ყურადღებას ამახვილებს მოსამართლის ქცევის მიზანსა და სურვილზე, ასევე, კონტექსტზე და მიუთითებს, რომ „ის გარემოებები და საერთო ფონი, რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ გააკეთა სადავო განცხადებები, არ ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ ან განზრახვა, ან სურვილი ჰქონდა მოსამართლეს მხარისთვის მიეყენებინა შეურაცხყოფა. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს განმარტებას წინ უსწრებს დაცვის მხარის უკმაყოფილო კომენტარი, რის შემდეგაც სასამართლო პასუხობს განცხადებას, საპროცესო ნორმებზე მითითებით. ამასთან, სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად, მოსამართლე საუბრობს მართალია რიგ შემთხვევაში ხმამაღლა, თუმცა არა შეურაცხმყოფელი საუბრის ფორმით. შეურაცხმყოფელი კონტექსტი, ამგვარი სიტყვები და საუბრის ტონი, არაკორექტული ქცევის გამოვლენის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდება“.

ასევე, საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ, მართალია, მოსამართლის მიერ პროცესის მიმდინარეობისას, პროცესის მონაწილეებთან მხოლოდ ხმამაღალი ტონით საუბარი არ არის მიღებული ფორმა, თუმცა „დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისათვის არსებითია შეურაცხმყოფელი კონტექსტის დადასტურებაც. ქმედება თავისი შინაარსით მთლიანობაში უნდა იწვევდეს პირის შეურაცხყოფას, მისი პატივისა და ღირსების დამცირებას. შეფასების კრიტერიუმად კი, გამოიყენება გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი. წარმოდგენილ მოცემულობაში ამგვარი საფუძვლიანი ვარაუდი შექმნილი საერთო ფონის, მოსამართლის წინარე ქმედებისა და ნათქვამის შინაარსის მიხედვით, არ დასტურდება.“

მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს

როგორც გადაწყვეტილებათა ანალიზით ირკვევა, ამ საკითხზე პრაქტიკა ჯერ კიდევ მწირია როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის, ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

²²² Rodriguez Ravelo v. Spain, №48074/10, 12 იანვარი, 2016 წ. (ECHR); ნიკულა ვ. ფინეთი, 21 მარტი, 2002; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) ამიხალაკიოვა ვ. მოლდოვა, 20 აპრილი, 2004; ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) დასკვნა №16 (2013) 425.

²²³ Barfod v. Denmark; Prager and Oberschlick v. Austria; Lomakin v. Russia; Wingerter v. Germany; Falter Zeitschriften GmbH v. Austria; Klaus Jürgen BÖHM v. Germany.

უფლებამოსილების ნაწილში. თუმცა განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოს **გადაწყვეტილებები №21/19, №41/19 და №42/19 დისციპლინურ საქმეებზე**, რომლებიც ეხება მოსამართლის მიერ სოციალურ ქსელ „Facebook“-ში, ასევე, სატელევიზიო გადაცემებსა და დისკუსიებში გაჟღერებულ პოზიციებს, რომლებიც, საჩივრების ავტორთა აზრით, არღვევს სამოსამართლო ეთიკის წესებს, ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტსა და მის მიმართ საზოგადოებრივ ნდობას.

მითითებული საქმეები, სავარაუდოდ, ეხება ერთსა და იმავე პირს, რომელიც, იმავე დროს, საჩივრების წარდგენის დროისათვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის პოსტს იკავებდა, რადგან გადაწყვეტილებათა დასაბუთებაში მითითებულ სამართლებრივ სტანდარტებში საუბარია მართლმსაჯულების საბჭოების ფუნქციასა და როლზე, დაიცვას სასამართლოს რეპუტაცია და ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა. ფაქტობრივი გარემოებების აღწერაში მითითებულია საჯაროდ გამოთქმული/დაწერილი ფრაზები, როგორცაა, მაგალითად, „ეს აჟიტირებული ცრუპენტელა, ერთი თეთრი არ დახარჯულა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დღევანდელ შეხვედრაზე: მთლიანად დონორმა დააფინანსა!“;²²⁴ „დღეს კიდევ ერთხელ უცხოელი პარტნიორებისაგან გავიგეთ სიმართლე. მადლობა მათ ობიექტურობისათვის!...“²²⁵

საინტერესოა, რომ ინსპექტორის დასკვნა სამივე საქმეზე იდენტურია და მიუთითებს, რომ მოსამართლის ქმედება, შესაძლოა, შეიცავდეს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. თუმცა საბჭომ მსჯელობა არ გაიზიარა და ყურადღება გაამახვილა მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებზე იმ შემთხვევებისათვის, როდესაც სასამართლო სისტემას/მოსამართლეს საჯაროდ და მწვავედ აკრიტიკებენ.²²⁶ დასაბუთებაში ასევე ვხვდებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებას „აზრის“ თაობაზე, რომლის თანახმადაც, „სადავო გამონათქვამების სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მათი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივ კომპონენტებს მოიცავს, რა მიზნით იქნა გასაჯაროებული ისინი“.²²⁷

შედეგად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სამივე საქმეზე შეწყვიტა დისციპლინური სამართალწარმოება იმ დასაბუთებით, რომ „მოსამართლე კონკრეტული პოზიციის დაფიქსირებისა და აზრის გამოხატვისას, ექცეოდა იმ მანდატის ფარგლებში, რომელიც მას, როგორც -- (სავარაუდოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს) წევრს მიენიჭა იმისათვის, რომ დაეცვა როგორც თითოეული მოსამართლის, ასევე სასამართლო სისტემის ავტორიტეტი“.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები სხვა დისციპლინურ გადაცდომებზე

²²⁴ დისციპლინური საქმე №21/19.

²²⁵ დისციპლინური საქმე №41/19.

²²⁶ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №7 და №10 დასკვნები; „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები“; სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები; მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია.

²²⁷ სუსგ №ას-1304-1242-2014, 27 მაისი, 2015 წელი; სუსგ №ას-103-98-2014, 28 ივლისი, 2016 წელი, სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან რამდენიმე საქმე ეხება შემთხვევას, როდესაც საჩივრის ავტორები მითითებდნენ *მოსამართლის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის* შესაძლო ფაქტებზე.²²⁸ მითითებულ საქმეებში მოყვანილი ფაქტები ეხებოდა მოსამართლეების საჯარო განცხადებებს, ძირითადად სატელევიზიო სივრცეში.

როგორც საბჭომ, ისე ინსპექტორმა სამართლებრივ დასაბუთებაში ყურადღება გაამახვილეს საქართველოს კონსტიტუციით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ, თანასწორობის გარანტიებზე, ასევე, სახალხო დამცველის განსაკუთრებულ მანდატზე, განხორციელოს ზედამხედველობა დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით განსაზღვრულ სპეციალურ წესზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე. კანონმდებლობა,²²⁹ მართალია, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახედ მითითებს მოსამართლის მიერ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატულ დისკრიმინაციულ ქმედებაზე, თუმცა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ასეთი ქმედება ჩადენილი უნდა იყოს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას. შესაბამისად, მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების მიღმა გაკეთებული განცხადებები, რომლებიც, შესაძლებელია, შეიცავდეს დისკრიმინაციული მოპყრობის ნიშნებს, ვერ გახდება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

საინტერესო შემთხვევაა **დისციპლინური საქმე №40/18**, რომელიც ეხებოდა *მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობას*, როგორც დისციპლინურ გადაცდომას. საჩივრის ავტორის მითითებით, მოსამართლემ მოსარჩელეს დარბაზის 10 წუთით დატოვება მოსთხოვა და მეორე მხარესთან ერთად დარჩა სხდომის დარბაზში, რამაც საჩივრის ავტორს მისი მიკერძოებულობის შესახებ ეჭვი გაუჩინა. როგორც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შედეგად გაირკვა, მოსამართლემ მართლაც დაატოვებინა მოსარჩელეს სხდომათა დარბაზი იმ არგუმენტით, რომ მოპასუხესთან მორიგების პირობებზე ესაუბრა. თუმცა კანონმდებლობა ამ პროცესში ორივე მხარის მონაწილეობას ითვალისწინებს.

ეს საქმე საინტერესოა იმით, რომ მითითებული გადაწყვეტილებით მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო. თუმცა საბჭომ სამართალწარმოება მოგვიანებით შეწყვიტა, რადგან მოსამართლის პასუხისმგებლობაში მიცემას სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, მხარი არ დაუჭირა საკმარისი რაოდენობის საბჭოს წევრმა (10-დან მხოლოდ 8 წევრმა). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კენჭისყრის ფარულობა არ ტოვებს საშუალებას, შეფასდეს რა არგუმენტებით იმსჯელა საბჭომ და რას ეყრდნობა მისი გადაწყვეტილება. დამატებით, გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის ინსპექტორის დასკვნის შინაარსი და შედეგი.

²²⁸ დისციპლინური საქმე №183/18, დისციპლინური საქმე №980-ო-18.

²²⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტი.

საინტერესოა დისციპლინური საქმე №51/19, რომელშიც საჩივრის ავტორი *მოსამართლის გულგრილობაზე* მიუთითებდა. მომჩივნის განცხადებით, მან სათანადოდ არ შეისწავლა საქმის მასალები, ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი და ამასთან ერთად, საქმეზე მიიღო და აღსასრულებლად გაგზავნა სააღსრულებო ფურცელი, მაშინ როდესაც მსჯავრდებულს უკვე წარდგენილი ჰქონდა დაკისრებული ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის ქვითარი.

საქმე საინტერესოა იმ მხრივ, რომ საბჭომ საჩივარში მითითებული ფაქტები განიხილა, როგორც განსაზღვრული, კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპების შესაძლო დარღვევა.²³⁰ თუმცა ორგანული კანონის მითითებული პუნქტი, ცალკე აღებული არ წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობას, არამედ ქვეპუნქტები აკონკრეტებს ქმედებებს, რომლებიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპებს და წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომებს.

ადმინისტრაციული საქმე №27/19 ეხება *მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლის შემთხვევას*. მოცემულ საქმეში მოსამართლემ, მის მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, ორჯერ უგულუბელყო ინსპექტორის მოთხოვნა საქმის მასალების მიწოდების თაობაზე. მოსამართლემ მოთხოვნა მხოლოდ მას შემდეგ დააკმაყოფილა, რაც ინსპექტორმა სასამართლოს თავმჯდომარეს კონფიდენციალური წერილების მოსამართლისათვის ჩაბარებისა თუ ჩაუბარებლობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა.

ინსპექტორის მითითებით, მოსამართლის ქმედებამ მნიშვნელოვნად დააბრკოლა საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის პროცესი. საბჭომ საკუთარ სამართლებრივ შეფასებაში, პირველ რიგში, მიუთითა ანგარიშვალდებული სასამართლოსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მნიშვნელობაზე. ამასთანავე, საბჭოს არგუმენტაციით, დისციპლინურ პასუხისმგებლობას აქვს 3 ძირითადი მიზეზი: ა) დემოკრატიული საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება; ბ) კანონის მოთხოვნათა დაცვა და აღსრულება; გ) მოსამართლეები უნდა შეესაბამებოდნენ პროფესიული ქცევის ნორმებსა და სტანდარტებს, რათა არ დაკარგონ პატივისცემა.

მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, როგორც გადაცდომის განმარტებისას, საბჭომ გამოიყენა ისტორიული განმარტების მეთოდი – „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი (23/02/2000) და მისი განმარტებითი ბარათი. აღნიშნულის თანხმად, გადაცდომად მიიჩნევა „მოსამართლის მიერ დისციპლინური საქმის გამოძიებისათვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა; დისციპლინური უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს თუ თანამდებობის პირის წარმომადგენლისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება; მათი შეცდომაში შეყვანა; ახსნა-განმარტების შედგენაზე უარის თქმა და სხვ. აღნიშნული დისციპლინური გადაცდომა შეიძლება გამოიხატოს არა მარტო იმ მოსამართლის მოქმედებით, ვის წინააღმდეგაც არის

²³⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 751 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

აღძრული დისციპლინური დევნა ანდა მოწმდება დევნის აღძვრის საკითხი, აგრეთვე სხვა მოსამართლის მოქმედებითაც, რომელსაც კონკრეტული დისციპლინური საქმე არ ეხება“.

საბოლოოდ, საბჭომ, არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, სრული შემადგენლობის 2/3-ით მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.

VI. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ სულ 2 საქმე განიხილა, ორივე მათგანი – 2020 წელს.²³¹ საანგარიშო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებიდან 1 ეხებოდა მოსამართლის მიერ სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას, ხოლო მეორე – მოსამართლის მიერ საქმის თვითაცილებაზე უარის თქმას. კოლეგიამ ორივე საქმეზე ბრალეულად ცნო მოსამართლეები. პირველ შემთხვევაში დისციპლინური სახდელის სახით შენიშვნა განსაზღვრა, მეორე საქმეზე კი – დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება – კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა გამოიყენა.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ორგანული კანონის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.²³² ამისთვის, მან უნდა დაადგინოს: ა) ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, ბ) არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა და გ) მიუძღვის თუ არა ბრალი მოსამართლეს. მხოლოდ სამივე გარემოების დადასტურებისას შეუძლია სადისციპლინო კოლეგიას მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, სხვა შემთხვევაში კი იღებს გამამართლებელ გადაწყვეტილებას.²³³ ამასთანავე, საინტერესოა, რომ სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია საერთოდ შეცვალოს მოსამართლის ქმედების კვალიფიკაცია ორგანული კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დისციპლინური გადაცდომით.²³⁴

მოსამართლის მიერ სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა²³⁵

მოცემულ საქმეში საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მოსამართლე ხშირად არღვევდა შეჯიბრებითობისა და

²³¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2020 წლის სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vC6c7i>, წვდომის თარიღი: 02.05.2022); საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2021 წლის სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3OTp70d>, წვდომის თარიღი: 02.05.2022).

²³² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴⁴ მუხლის 1-ლი პუნქტი.

²³³ იქვე.

²³⁴ იქვე, მუხლი 75³⁹

²³⁵ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2020 წლის 9 ნოემბრის №1/01-2020 გადაწყვეტილება.

თანასწორობის პრინციპს. სასამართლო პროცესზე მოსამართლემ მოწმეს შეაწყვეტინა ჩვენების მიცემა და ჩვენებასთან დაკავშირებით წინასწარ გამოთქვა საკუთარი შეხედულება.

როგორც საქმის გამოკვლევით დადგინდა, ბრალდებულის წარმომადგენლის კითხვებიდან გამომდინარე, მოწმე ბრალდებულის პირად ცხოვრებაზე საუბრობდა, რის გამოც მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით შეაჩერა დაკითხვის პროცესი და ადვოკატს მოსთხოვა განემარტა, რა კავშირში იყო მის მიერ ბრალდებულის პირად ცხოვრებასთან დასმული შეკითხვები. ამასთანავე, მოსამართლემ საჯაროდ გამოთქვა მოსაზრება, რომ ადვოკატს, შესაძლოა, წინასწარ ჰყავდა დარიგებული მოწმე მისთვის სასურველი პასუხების მისაღებად. მოსამართლის ახსნა-განმარტებით, ბრალდების მხარე ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ავლენდა და, სამწუხაროდ, არ იყო ჩართული პროცესში. შესაბამისად, ის გამონაკლისის სახით ჩაერთო დაკითხვის პროცესში, რადგან პრიორიტეტულია თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს განცდა, რომ მისი პირადი ცხოვრება საჯარო სასამართლო სხდომაზე შეუსაბამო განსჯის საგანი არ გახდება.

გადაწყვეტილებაში მითითებულ სამართლებრივ სტანდარტებთან დაკავშირებით, სადისციპლინო კოლეგიის მსჯელობა ახალს თითქმის არაფერს ამბობს. ის იმეორებს საბჭოს გადაწყვეტილებებს და ინსპექტორის დასკვნებში მითითებულ საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ აქტებსა და განმარტებებს სასამართლოს მიმართ ნდობის, ასევე, მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებაში ნაკლებად ვხვდებით ვრცელ მსჯელობებს საქმის ინდივიდუალური გარემოებებისა და მათი სამართლებრივი შეფასების თაობაზე.

ბოლოს, გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის თანახმად, „სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, გაითვალისწინა მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, მხედველობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, შედეგები“. კოლეგიის მსჯელობა ამით შემოიფარგლება და გაურკვეველია, რა იგულისხმება თითოეულ იმ კრიტერიუმში, რომლის გათვალისწინებითაც მან მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელის სახით – შენიშვნა დააკისრა.

მოსამართლის მიერ საქმის თვითაცვლებაზე უარის თქმა²³⁶

ამავე საქმეში, საჩივრის ავტორი მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელთან მოსამართლის მეგობრულ ურთიერთობაზე მიუთითებდა. თუმცა, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევით დადასტურდა, წარმომადგენელი, რეალურად, მოსამართლის მეუღლე იყო. თავად მოსამართლის ახსნა-განმარტებით, მან სრულად აღიარა დისციპლინური ბრალდება და დამატებით განმარტა, რომ არ უნდა მიეღო კერძო საჩივრის განხილვის ფარგლებში მონაწილეობა. საგულისხმოა, რომ მხარეს რაიმე ზიანი შედეგობრივი

²³⁶ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2020 წლის 11 დეკემბრის №2/01-2020 გადაწყვეტილება.

თვალსაზრისით, არ მისდგომია, ვინაიდან მის მიმართ სასარჩელო წარმოება უკვე დასრულებული იყო და მიღებული გადაწყვეტილება – კანონიერ ძალაში შესული. მისთვის არ იყო ცნობილი განხილულ საქმეში მისი მეუღლის წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობის თაობაზე და ამის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც დისციპლინური ბრალდების თაობაზე საჩივარი ჩაბარდა.

კოლეგიის გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა, წინა გადაწყვეტილების მსგავსად, უმეტესად საერთაშორისო და შიდა-ეროვნული აქტებით დადგენილი სტანდარტების მითითებით შემოიფარგლება და ნაკლებად ვხვდებით ვრცელ, თანმიმდევრულ მსჯელობებს ამ სტანდარტებზე დაყრდნობით საქმის ინდივიდუალური გარემოებების შეფასების თაობაზე. მსგავსი მსჯელობა მწირი, თუმცა მაინც ინდივიდუალურია გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის დასაბუთებას ეხება. კერძოდ, სადისციპლინო კოლეგიის განმარტებით, მან მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ „მოსამართლის მხრიდან კერძო საჩივრის განხილვისას საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობდა საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი, არ არის ინსპირირებული დანაშაულებრივი ნიშნებით“. გასათვალისწინებელია „მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაციაც (წარსულში არ აქვს დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობა), დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, შედეგები (აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვა განხორციელდა ზეპირი მოსმენის გარეშე და ამასთან, რაიმე სახის ზიანი არ დამდგარა)“.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის პრაქტიკა ზოგადად და, განსაკუთრებით, საანგარიშო პერიოდში, მწირია. თუმცა ზემოთ განხილული გადაწყვეტილებების ანალიზი მკაფიოდ მიუთითებს, რომ კოლეგიის სამართლებრივი დასაბუთებები შაბლონური ხასიათისაა. გარდა ამისა, გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობა მნიშვნელოვნად იმეორებს დისციპლინური პასუხისმგებლობის განმახორციელებელი სხვა ორგანოების მიერ მითითებულ სამართლებრივ სტანდარტებს და სადისციპლინო კოლეგია ნაკლებად მსჯელობს თავად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. ბოლოს, განხილულ გადაწყვეტილებებში, არ არის ერთგვაროვანი მიდგომები დასაბუთებულობის კუთხით. ყოველივე ზემოაღნიშნული ნაკლებად აკმაყოფილებს დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის გამართულად და სწორად ფუნქციონირებისათვის დადგენილ სტანდარტებს, ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის მაღალ ხარისხს, თანმიმდევრულ, ერთგვაროვან პრაქტიკას და საქმეთა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინების აუცილებლობას.

VII. სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ სულ 2 გადაწყვეტილება მიიღო, საჩივრები ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის

საკითხებს ეხებოდა.²³⁷ შესაბამისად, ამ პერიოდში სადისციპლინო პალატაში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე საქმე არ შესულა და არც გადაწყვეტილებები მიუღიათ.²³⁸

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში 2020-2021 წლებს მოიცავს და დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ამ პერიოდში განვითარებული პრაქტიკის ანალიზს, საინტერესოა და აუცილებლად უნდა აღინიშნოს **სადისციპლინო პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება**,²³⁹ რომელიც დისციპლინური საჩივრის ავტორების მიერ ყველაზე ხშირად მითითებულ გადაცდომას – საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას (ორგანული კანონის 2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) ეხება. შესაბამისად, სადისციპლინო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი პრეცედენტია პრაქტიკის ანალიზის კუთხით.

მოცემულ საქმეში, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის საფუძველი გახდა ის ფაქტობრივი მოცემულობა, რომ ბრალდებული, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით, არ ცხადდებოდა პროცესზე, თუმცა არ სურდა, რომ სხდომა მის გარეშე ჩატარებულიყო. შესაბამისად, მოსამართლემ არაერთხელ გადადო სხდომა. თუმცა, საჩივრის ავტორის მითითებით, უმეტეს შემთხვევაში, პროცესების გადადებისას, ბრალდებული ან მისი ადვოკატი, სასამართლოს არ წარუდგენდნენ ბრალდებულის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელ დოკუმენტს. შესაბამისად, სადისციპლინო კოლეგიამ, საკუთარი გადაწყვეტილებით, მიიჩნია, რომ მოსამართლემ უსაფუძვლოდ გააჭიანურა საქმის განხილვა და მისი გადაწყვეტილებები მოკლებული იყო არგუმენტირებულ დასაბუთებას. კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის პოზიცია, თუმცა იქვე მიუთითა, რომ მოსამართლეს შეეძლო, გამოეყენებინა საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული, სხდომის დარბაზს გარეთ ჩატარების,²⁴⁰ ან საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის,²⁴¹ შესაძლებლობა. საბოლოოდ, მოცემულ საქმეზე დისციპლინური პასუხისმგებლობის სახედ შენიშვნა განისაზღვრა.

კოლეგიის გადაწყვეტილება მოსამართლემ სადისციპლინო პალატაში გაასაჩივრა და მოითხოვა ამ გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი არგუმენტებით: ა) *გადაწყვეტილება უკანონოა* – რადგან მან განაჩენი გამოიტანა საქმის განხილვისათვის კანონმდებლობით დადგენილ საერთო ვადაში. იუსტიციის უმაღლესი საბჭო/კოლეგია არ არის უფლებამოსილი, მოსამართლე შეზღუდოს ვადაში ე.წ. „გონივრულ ვადაზე“ მითითებით მაშინ, როცა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, საქმის განხილვა გამოიწვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას; ასეთი შეზღუდვა ასევე

²³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის სტატისტიკა, 2020 წელი, (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3OTuW2z>, წვდომის თარიღი: 02.05.2022).

²³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური წერილი (სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2021 წლის 13 ოქტომბრის №01/380 წერილის პასუხად).

²³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის №სდ-26-19 გადაწყვეტილება.

²⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²⁴¹ იქვე, 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

„პარადოქსულია“ დაზარალებულის უფლებების დაცვის მოტივით, რამდენადაც, საპროცესო გარანტიები უპირველესად ბრალდების მხარის სასარგებლოდ არსებობს; ბ) დისციპლინური დევნა უკანონოა – მნიშვნელოვნად არის დარღვეული დისციპლინური დევნისა და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ვადები, როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის, ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან; ამასთანავე, საქმე არსებითად განიხილა და გადაწყვიტა კოლეგიის არასრულმა შემადგენლობამ.

საინტერესოა, რომ სადისციპლინო პალატამ სრულად გაიზიარა მოსამართლის არგუმენტაცია კოლეგიის გადაწყვეტილების უკანონობასთან დაკავშირებით და ის სრულად გაამართლა. თუმცა გადაწყვეტილებაში განსაკუთრებით საყურადღებოა პალატის არგუმენტაცია, რომელიც სამართალწარმოების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებისა და ქმედებების ხარვეზიან ბუნებას ავლენს.

პირველ რიგში, გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია დისციპლინური გადაცდომებისა და სახდელების „განჭვრეტადობისა“ და ტერმინ „უსაფუძვლო“ განმარტების მნიშვნელობა, რომელიც ვალდებულების ბრალეულ შეუსრულებლობაზე უნდა მიუთითებდეს. ეს უშუალოდ არის დაკავშირებული სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობასთან. კერძოდ, საქმეში თავდაპირველად სადავო იყო საქმის განხილვა კანონმდებლობით დადგენილ საერთო ვადაში. თუმცა, როგორც საბჭოს, ისე კოლეგიის საბოლოო გადაწყვეტილებაში ამაზე მსჯელობას აღარ ვხვდებით. ამის ნაცვლად, საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება დადგენილია მხოლოდ კანონით დადგენილ ვადაში მიმდინარე პროცესების უსაფუძვლო გადადების გამო, რაც სადისციპლინო პალატამ გაუმართლებლად მიიჩნია. განსაკუთრებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საბჭოს წარმომადგენელმა სხდომაზე ვერ მიუთითა იმ სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც მოსამართლემ დაარღვია, არამედ მხედველობაში მიიღო საქმეზე მთლიანად არსებული გარემოებები.

გარდა ამისა, სადისციპლინო პალატის განმარტებით, მოსამართლემ, საკუთარ წერილობით ახსნა-განმარტებას დაურთო რიგი დოკუმენტები (მათ შორის, დოკუმენტი ადვოკატის იურიდიული დახმარების სამსახურის ღონისძიებაზე და შვებულებაში ყოფნის თაობაზე, ასევე, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები, რომლებიც არ შეიცავდა მხოლოდ ერთი დღის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციას), რომლებიც გამორიცხავს სადავო სხდომების უსაფუძვლო გადადების ფაქტს. თუმცა კოლეგიას, საკუთარ გადაწყვეტილებაში ეს მტკიცებულებები საერთოდ არ შეუფასებია, მათ შორის, არ გაუთვალისწინებია ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარეს არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას ეჭვქვეშ დააყენებდა. რაც შეეხება კოლეგიის არგუმენტს, სხდომის დარბაზს გარეთ ჩატარების, ან საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესაძლებლობის გამოყენებაზე, საპროცესო კანონმდებლობა, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებას მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ითვალისწინებს და გამორიცხავს მოსამართლის მხრიდან ინიციატივას. რამდენადაც მსგავსი შუამდგომლობით მოსამართლისთვის არცერთ მხარეს არ მიუმართავს, კოლეგიის მსჯელობაც ამ ნაწილში, არასწორია.

ბოლოს, სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონმდებლობა არ იცნობს „გონივრული ვადის განმარტებას“ და ის ყველა შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების შეფასებით უნდა დადგინდეს. ვადის გონივრულობის მოთხოვნა კი უპირატესად ბრალდებულის და არა პროცესის სხვა მონაწილეების (მათ შორის, დაზარალებულის) ინტერესებიდან მომდინარეობს. თუმცა კოლეგიის გადაწყვეტილების კიდეც ერთ პრობლემურ მხარედ შეფასდა ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური გარემოებების დადგენისას მას არ გამოუკვლეოდა და გაუთვალისწინებია მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლე და მისი დატვირთულობა.

სამწუხაროდ, სადისციპლინო პალატას არ უმსჯელია მოსამართლის იმ არგუმენტაციაზე, რომელიც დისციპლინური დევნის უკანონობასა და ვადების მნიშვნელოვან დარღვევებს ეხებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ვადების დაცვის საკითხი მნიშვნელოვანი პრობლემაა და მუდმივად ირღვევა, განსაკუთრებით კი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნებოდა, სადისციპლინო პალატას ამ საკითხზე ვრცლად და არგუმენტირებულად ემსჯელა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განხილული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი პრეცედენტია, რომელიც საშუალებას იძლევა, ირიბად შეფასდეს დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე სხვა ორგანოების ზოგიერთი ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც პროცესის კონფიდენციალურობის საკანონმდებლო მოთხოვნიდან გამომდინარე, ინდივიდუალური სახით, ხელმიუწვდომელია. ამასთანავე, განხილული გადაწყვეტილების ანალიზით აშკარაა, რომ გაცილებით მაღალია სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობისა და საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე თანმიმდევრული მსჯელობის ხარისხი, რაც მისასაღმებელია. თუმცა პრაქტიკის სიმწირე უფრო განზოგადებული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა.

დასკვნა და რეკომენდაციები

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვანი წინსვლა იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის დახვეწის მიმართულებით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გარკვეული ინსტიტუციური, საპროცესო თუ შინაარსობრივი საკითხები. თუმცა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მაინც რჩებოდა რიგი პრობლემური საკითხები, რომლებიც შემდგომ დახვეწას საჭიროებდა. ამისგან განსხვავებით, 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებები ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო როგორც დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე ორგანოების ინსტიტუციური მოწყობის, ისე სისტემის გამჭვირვალობისა და ქმედითობის, ასევე, ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიებთან მიმართებით. დისციპლინური სამართალწარმოების მოწესრიგება, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით, ფართო საზოგადოებრივი ჩართულობის გარეშე მიიღო, ვერ პასუხობს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ რეალურ გამოწვევებს და ვერ უზრუნველყოფს

ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის სწორი და გონივრული ბალანსის მიღწევას.

დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის დახვეწის მიზნით, მნიშვნელოვანია შემდეგი ქმედითი და ყოველმხრივი ნაბიჯების გადადგმა:

- დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში არამოსამართლე წევრების რეალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ინსპექტორის არჩევა კონსენსუსის ლოგიკით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორმაგი 2/3-ის უმრავლესობით (ამ პრინციპის თანახმად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება მოსამართლე წევრების 2/3-ისა და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობა); ასევე მნიშვნელოვანია, ინსპექტორის შერჩევის მიზნით ჩასატარებელი კონკურსი და მასში მონაწილეთა მონაცემები გახდეს საჯარო;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება ასევე უნდა დაეფუძნოს კონსენსუსის პრინციპს და საბჭო გადაწყვეტილებას ორმაგი 2/3-ის პრინციპით იღებდეს;
- სადისციპლინო კოლეგიის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების (წევრთა უმრავლესობის აზრის მაქსიმალურად გათვალისწინების შესაძლებლობა) მიღების უზრუნველსაყოფად, საჭიროა, კანონმდებლობით განისაზღვროს კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით;
- მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაჭიანურების პრობლემის დასაძლევად, ადეკვატური საპროცესო ვადების განსაზღვრის ჩათვლით. ასევე აუცილებელია გაიზარდოს დისციპლინურ საქმეებთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების სიხშირე;
- დისციპლინური სამართალწარმოების მეტი გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით განისაზღვროს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნების, ასევე, დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ვალდებულება, მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით;
- საჭიროა, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი, თანმიმდევრული და განჭვრეტადი პრაქტიკა, გაიზარდოს მიღებული აქტების დასაბუთებულობის ხარისხი. ეს განსაკუთრებით ეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებს;
- აუცილებელია, წახალისდეს მოსამართლის მიერ დისციპლინური სხდომების გასაჯაროების მოთხოვნის უფლებით სარგებლობა, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მხრიდან საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე განსხვავებული აზრის გამოთქმის პრაქტიკა;
- მნიშვნელოვანია, უფრო განჭვრეტადი გახდეს მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების წესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემაში მოსამართლეთა

დამოუკიდებლობისა და საქმიანობის განხორციელების გარანტიების შელახვის რისკების გამოსარიცხად;

- აუცილებელია დისციპლინური გადაცდომების შემადგენლობების შემდგომი დახვეწა; ასევე, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომების ინტერპრეტაციისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული ნორმების ფართო განმარტება, ინდივიდუალურ მოსამართლეზე ზემოქმედების რისკების გამოსარიცხად;
- საჭიროა მოსამართლის ბრალეულობის მკაფიო საკანონმდებლო ფორმულირება გადაცდომით გამოწვეულ ზიანთან მიმართებით; ასევე მნიშვნელოვანია, კანონმდებლობამ განსაზღვროს დისციპლინური სამართალწარმოებისა და სახდელის დაკისრების მიზნები.